


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობივ ბუქდ-
უქბი სიფყვას, ცყუილუბით და ქაბუბით ბუბ-
თის გაფანა ყუელა უჯადბისდბაჟ უსაბაგლუსია.

შაბათი, 29 აპრილი. 2017 წ. №88 (8225), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ო, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ!

„მთელ მსოფლიოში შესაძლოა, ანალოგი არ მოიძებნოს იმისა, რომ მუსლიმანური რელიგიის შეიხი პატიარქს ეწვევა, ხელზე კოცნის, აღიარებს მას თავის უხუცესად“ ③

ზიგმარ გაბრიელი:
ეპროკა უნიკალური პროექტია! ②

„ცივილური – ანტიცივილური“
CIVILIS
უსხო ტარიმოლოგიის მოკალაბა მუბიჩარა ბრიყვბის ახირაბა კი არა, ქართული ერის განადგურების მომასწავებელია! ④

ღაპით უსუფაჟილი: „მე ვბრუნდები პოლიტიკაში, მაგრამ თინიკოს ჯერ ამისთვის არა სსაღია!..“ ②

პრეზიდენტის პოლიტიკური ტყუილება ახალსინაში, სტუდენტების პირისპირ! ③

მოსკოვი მზაკრული მეთოდების გამოყენებას იწყებს ⑩

ბიორბი ბახარია: მესტიაში, გუდაურში, გოდაერძიზა, ბაკურიანში თანამედროვე სამთო-საბაგირო ხაზები კეთდება

ამონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარია მამარტუბაგააკეთა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით, კერძოდ, სტაციონარული საბაგირო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საკუთრების ჩამორთმევის ინიციატივაზე. მინისტრის ინფორმაციით, საუბარი შეეხება იმ საბაგიროებს, რომლებიც სამთო კურორტებს უნდა მოემსახუროს. გიორგი გახარია სტაციონარული საბაგირო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საკუთრების ჩამორთმევის ინიციატივის შესახებ განმარტება „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადების კომენტარებისას გააკეთა – საიას ვარაუდით, აღნიშნული ინიციატივა „პანორამა თბილისის“ პროექტს უკავშირდება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დეტალურად ახსნა კანონპროექტის მიზანი და საჭიროება – „არასამთავრობო ორგანიზაციებს და საიას შეუძლიათ ეს პირადად ჩვენთან დააკავშირონ. ეს იყო პირადად ჩვენი ინიციატივა იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც იცით, სახელმწიფო კონცენტრირებულია ძალიან დიდ ინვესტიციებს ასორციელებს სამთო კურორტების განვითარებაში, სადაც ამ ინსტრუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს“. გიორგი გახარიას განცხადებით, საუბარია უბრალოდ იმ საბაგიროებს, რომლებიც სამთო კურორტებს უნდა მოემსახუროს „საუბარია იმაზე, რომ ბიუჯეტში წელს ათობით მილიონია ჩადებული, მომავალ წელს იმისთვის, რომ სამთო კურორტები განვითარდეს. მესტიაში, გუდაურში, გოდერძიზე, ბაკურიანში – ყველგან კეთდება ახალი, თანამედროვე სამთო-საბაგირო ხაზები. ამისთვის არის ეს გაკეთებული“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ზიგმარ გაბრიელი: ევროკავშირი უნიკალური პროექტია!

„ევროკავშირის მიმართ შიგნით არსებული სკეპტიციზმისგან განსხვავებული აზრის მოსმენა თუ გსურთ, თუ გსურთ გაიგოთ, რომ ევროკავშირი უნიკალური პროექტია, რომელიც ადამიანებს ოპტიმიზმით აღავსებს, ქართველებს უნდა გაესაუბროთ“, – ამის შესახებ, საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა საქართველო-გერმანიის წლის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა. მან აღნიშნა, რომ ეთანხმება ქართველი კოლეგების შეფასებას ევროკავშირის უნიკალურობის თაობაზე და იმის შესახებ, რომ მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი პროექტი, არც ერთი რეგიონი, სადაც ადამიანებს ასეთ მშვიდობიან, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში შეუძლიათ ცხოვრება.



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმარ გაბრიელი საქართველო-გერმანიის წლის გახსნის ცერემონიაზე გამოსწერ საზოგადოების წინაშე სიტყვით წარსდგა, რომლის დროსაც ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროზე, განათლებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოში განათლება ამოუწურავი რესურსია. ამ კონტექსტში მან ისაუბრა გერმანიასთან პარტნიორობაში მყოფ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული განათლების და გერმანიული ენის ქართველების მიერ სრულყოფილად ცოდნის თაობაზე. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ გერმანიულ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობაზე და განათლების როლზე კონფლიქტის შედეგად დაშორებული ხალხის შერიგებაში. „გესურს, რომ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიები გავრცელდეს საქართველოს ოკუპირებულ, აფხაზეთისა და ცხინვალის

რეგიონების ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზეც, რათა უფრო მეტმა ახალგაზრდა ადამიანმა, ორივე მხარეს, გააცნობიეროს გამყოფი ხაზების პრობლემატიკა და გაითავისოს, რომ მხოლოდ შემრიგებლური ურთიერთობით არის შესაძლებელი განვითარების და საერთაშორისო მობილურობის მიღწევა“, – განაცხადა გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ 2017 წელს საქართველოსა და გერმანიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 25 წლის იუბილე აღინიშნება. „1992 წლის 13 აპრილს გერმანიამ პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და პირველმა გახსნა საელჩო საქართველოში. მსურს, საზღვარსა და აღნიშნო, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს განუყოფელ სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“, – განაცხადა ზიგმარ გაბრიელმა და დასძინა, რომ ბრწყინვალე ქართულ-გერმანული ურთიერთობები დროს არ ექვემდებარება. ამ კუთხით მან ისაუბრა სურვილზე, კიდევ უფრო განვითარდეს ორ ქვეყანას და ხალხს შორის ურთიერთობები, კავშირები და მდიდარი კულტურული წარსული, რასაც გაბრიელის განცხადებით, ასევე ხელს შეუწყობს გასულ წელს ძალაში შესული ასოციაციების შესახებ შეთანხმება და მის ფარგლებში გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

გახსნის ცერემონიაზე სიტყვის დასასრულს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო-გერმანიის წლის ფარგლებში 130 ღონისძიება გაიმართება, არა მხოლოდ ბერლინსა და თბილისში, არამედ ორივე ქვეყნის მასშტაბით. გაბრიელის თქმით, ეს ღონისძიებები კიდევ ერთხელ თვალსაჩინოს გახდის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მრავალფეროვნებას.

საქართველო-გერმანიის წლის ფარგლებში იგეგმება ღონისძიებების გამართვა მუსიკას, ლიტერატურას, კინოს, ეკონომიკისა და სხვა სფეროებში.

დავით უსუფაშვილი: „მე ვბრუნდები პოლიტიკაში, მაგრამ თინიკოს ჯერ ანისთვის არა სსაღია!“

– დღემდე აქტიურ პოლიტიკაში ვბრუნდები და ჩემი მიზანია ვაკეთო საქმე იმ თანამოაზრეებთან ერთად, ვინც მზად არის ქვეყნის სამსახურისთვის. პოლიტიკაში ვბრუნდები გამოცდილებით, რომელიც არ ყოფილა ერთნაირად წარმატებული, ვბრუნდები იმ შეცდომებზე პასუხისმგებლობის გრძნობით, რომლებიც ჩემი თანამოაზრეობითაც ხდებოდა როგორც ოპოზიციაში, ასევე ხელისუფლებაში... ვბრუნდები იმ ვალდებულებით, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო საქმის უკეთ კეთებას, – განაცხადა 28 აპრილს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

ლიდერებში კი არა, არამედ იმაშია, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას უნევდა და დღესაც უნევს დესტრუქციული პოლიტიკურ ველზე მოქმედება, რომელზეც სწორად გაკეთებული საქმის დიდი ნაწილიც კი იკარგება. ამდენად, მთავარი თანავე ამ დესტრუქციული ველის და არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისა და პიროვნებების შეცვლა.

- დავით უსუფაშვილი მიიერ შეეშინებოდა იმ სამკუთხედიან ბეჭდვას:
1. საქვეყნო და საერო საქმის კეთებაში ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრა;
 2. იმ პოლიტიკური ველის „გახსნა“, რომელიც ამ პირობებს წარმოშობს, ასევე სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტის გამყარების ზეპარტიული, საზოგადოებრივი ამოცანის შესრულება, რომელიც აქამდე ვერ ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შეძლო;
 3. ახალი, არსობრივად ცენტრისტული ტიპის პარტიის შექმნა.

მისი განცხადებით, კიდევ ერთი „სახალხო ლაშქრის“ შეკრება ხელი-

სუფლების დაუყოვნებლივ შესაცვლელად, საზოგადოებას ისევე ჩიხში მოაქცევს. ხელისუფლების სათავეში უნდა მოვიდეს არა მორიგე „მხსნელი“, „მესია“, არამედ კომპეტენტური, პასუხისმგებელი, ეროვნულ და ევროპულ კულტურულ-პოლიტიკურ ნიადაგზე მყარად მდგარი ახალი პოლიტიკური ძალა ახლებური, რაციონალური და ეფექტიანი მიდგომებით. პარტია ყველა დონეზე ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაებმევა ქვეყნის გაძლიერების სრულფასოვნად მომზადებული პროგრამითა და ჩრდილოვანი მთავრობით.

პარტია ხელს შეუწყობს ისეთი ქვეყნის შენებას, რომელსაც საძირკვლად ედება საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დადებითი გამოცდილება, რომლის საყრდენი კედლები დემოკრატიული ინსტიტუტების კონსტრუქციული სისტემა იქნება, ხოლო სახურავის როლს ევროატლანტიკური სტრუქტურები შეასრულებენ.

უურნალისტების შეკითხვებზე პასუხების გაცემისას, დავით უსუფაშვილმა თავი შეიკავა მომავალი პარტიის



სახელწოდებისა და მისი საინიციატივო ბირთვის პერსონალების გამსვლისაგან. აღნიშნა ისიც, რომ ახალი პარტია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივ არჩევნებში იქ, სადაც სამისოდ სათანადო ძალა ექნება, ასევე თბილისის მერის არჩევნებში. აღინიშნა ისიც, რომ მისი მეუღლის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის თინა ხიდაშელის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში ჯერჯერობით არ დგას.

ოთარ ტურაბალიძე

ლიპან მურუსიძე დახმარებას ითხოვს!

მითხრობს დახმარებას მოსამართლის შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, – აცხადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე მოსამართლის შეურაცხყოფისთვის სანქციების დაწესებაზე წარდგენილ ინიციატივასთან დაკავშირებით. მურუსიძის თქმით, საუბარი არ არის სანქციებზე, რეგულაციების გამაცვრებაზე. საბჭო გეგმავს საჯარო დისკუსიის გახსნის საკითხთან დაკავშირებით, რადგან მისი თქმით, აღარ უნდა გაგრძელდეს სასამართლოს დისკრედიტაცია.

„გაზის ტარიფები გაიზარდა“

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ არველაძე გაზის ტარიფის ზრდას პროგნოზირებს. „ცხადია იქიდან გამომდინარე, რომ 2005 წლის შემდეგ გაზის ტარიფები არ გადახდებოდა, მას მერე ბევრი რაღაც შეიცვალა, საკმაოდ ბევრი ინვესტიცია განხორციელდა გაზის სექტორში, გარდა ამისა, ვიცით, როგორ წავიდა ლარის და დოლარის ურთიერთობა, როგორ შეიცვალა კურსი, აქედან გამომდინარე მიმაჩნია,

რომ გაზის ტარიფების ზრდას უნდა ველოდეთ, ალბათ, ივნისის ბოლოსთვის დაამთავრებს მარეგულირებელი კომისია და შემდეგ გამოცხადდება, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ გაზის ტარიფები გაიზარდა“, – განაცხადა მან

შატარის კომპანია ALFARDAN GROUP საქართველოში ინვესტირებთ დაინტერესდა

შატარის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია Alfardan Group საქართველოში ინვესტირებით დაინტერესდა, – ამის შესახებ კომპანიის პრეზიდენტმა და მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ომარ ჰუსეინ ალფარდანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიშვილთან შეხვედრაზე განაცხადა. Alfardan Group-ის ძირითადი ინტერესის სფეროს საქართველოში ტურიზმი და ინდუსტრიული ზონა წარმოადგენს. შეხვედრისას ისაუბრეს ცალკეულ საინვესტიციო პროექტებზე, რომლებიც, შესაძლოა, Alfardan Group-მა განახორციელოს.

ო, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ!

„მთელ მსოფლიოში შესაძლოა, ანალოგი არ მოიძებნოს იმისა, რომ მუსლიმანური რელიგიის შეიხი პატრიარქს ეწვევა, ხელზე კოცნის, აღიარებს მას თავის უზუცესად“, — განაცხადა კავკასიის მუსლიმანთა სულიერმა ლიდერმა შეიხ ულისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადემ საქართველოს პატრიარქთან შეხვედრისას.

მანვე ილია მეორეს უიშვიათესი ადამიანი, კავკასიის უზუცესი უნოდა, რომლის მხარდაჭერასაც მუდამ გრძნობდა, მათ შორის, კომუნისტურ რთულ პერიოდშიც, როცა სასულიერო პირად ყოფნა რთული იყო.

ამასთან, ფაშა-ზადე გამოუტყდა პატრიარქს, რომ იგი მისი ოჯახისთვის წმინდანი იყო. ამიტომაც ოჯახთან ერთად ესტუმრა ილია მეორეს, გადასცა აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის მოკითხვა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და ბაქოში მიიწვია მისი უწმინდესობის 40 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. ფაშა-ზადეს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობას, მუსლიმან მრევლს საქართველოს პატრიარქი ძალიან უყვარს.

თავის მხრივ, უწმინდესმა შეახსენა სტუმარს, რომ საქართველოში 400-მდე მეჩეთი, ჯამე, მათი სკოლები და გამოცემლობები აშენდა, იგი იმელოვნებს, რომ ქართული დანესებულებებიც თავის უფლად იქნება აზერბაიჯანში.

თეოლოგ **ლევან აბაშიძის** აზრით, ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო მაინც აღმოსავლეთის ნაწილია და მუსლიმანებით გარშემორტყმულ ჩვენი რეგიონში მართლმადიდებელი მუსლიმანებისთვის მიმართა. სხვათა შორის, პატრიარქი კერძო საუბრებში იხსენებდა კიდევ, რომ მათ ოჯახს მუსლიმანებისთვის ჰქონდა ოთახი, სადაც ფესხაცმელებით არ შედიოდნენ, იქ ხალიჩები ეფინა და მუსლიმანებს უშვებდნენ სალოცავად. სხვათა შორის, ზოგიერთი ჩვენი „პატრიოტი“ ამას მიწმუნად უთვლის პატრიარქს, ნახეთ, რას ამბობს, მუსლიმანებს უშვებდა თავის სახლში და ალოცინებდაო. დიას, ალოცინებდა, რადგან ჩვენ ერთმანეთის სარწმუნოებას პატივს ვცემთ, არავის არ ვახვევთ თავს, გინდა თუ არა, გადმოდი ჩემს სარწმუნოებაზე. ეს არ ნიშნავს, რომ მე სუსტი ვარ ჩემს სარწმუნოებაში, პირიქით, ძლიერი ვარ სარწმუნოებაში და ამიტომაც ვიქცევი ასე.

„პატრიარქი თვითონ არის იმ რეგიონიდან, რომელიც ჩრდილო კავკასიას

ილია მეორისა და ფაშა-ზადეს შეხვედრამ ნათლყო, რომ რელიგიისგან არ უნდა შევქმნათ პრობლემა



ესაზღვრება. მისი ბავშვობა ვლადიკავკაზს უკავშირდება. უწმინდესი მორწმუნე ოჯახში იზრდებოდა, ამავე დროს, მის ოჯახს უდიდესი პატივისცემა ჰქონდა სხვისი სარწმუნოების მიმართ. სხვათა შორის, პატრიარქი კერძო საუბრებში იხსენებდა კიდევ, რომ მათ ოჯახს მუსლიმანებისთვის ჰქონდა ოთახი, სადაც ფესხაცმელებით არ შედიოდნენ, იქ ხალიჩები ეფინა და მუსლიმანებს უშვებდნენ სალოცავად. სხვათა შორის, ზოგიერთი ჩვენი „პატრიოტი“ ამას მიწმუნად უთვლის პატრიარქს, ნახეთ, რას ამბობს, მუსლიმანებს უშვებდა თავის სახლში და ალოცინებდაო. დიას, ალოცინებდა, რადგან ჩვენ ერთმანეთის სარწმუნოებას პატივს ვცემთ, არავის არ ვახვევთ თავს, გინდა თუ არა, გადმოდი ჩემს სარწმუნოებაზე. ეს არ ნიშნავს, რომ მე სუსტი ვარ ჩემს სარწმუნოებაში, პირიქით, ძლიერი ვარ სარწმუნოებაში და ამიტომაც ვიქცევი ასე.

ფაშა-ზადეს ვიზიტი და მისი სიტყვები ჩვენი პატრიარქის მიმართ ეს არის აღმოსავლური ზრდილობის, პატივისცემის გამოხატულება. ფაშა-ზადე ჩვენი მეზობელი ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი სარწმუნოების ლიდერია, ის არის მუსლიმანების ლიდერი სამხრეთ კავკასიაში, ჩვენი პატრიარქი კი მართლმადიდებლების ლიდერია. სხვათა შორის, ირანისტი გიორგი ლოპუანიძეც იხსენებდა, რომ აიათოლაც ემთხვავა ჩვენს პატრიარქს ხელზე ირანში“, — აღნიშნა ლევან აბაშიძემ For.ge-სთან საუბარში.

რაც შეეხება პატრიარქის ნათქვამს, საქართველოში 400 მეჩეთის, ჯამეს არსებობის შესახებ, თეოლოგის თქმით, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო წინ ვართ აზერბაიჯანთან შედარებით. ჩვენთან უფრო დაცულია ადამიანის უფლებები, მათ შორის, რელიგიური თვალსაზრისითაც. ამიტომ ჩვენთან გაცილებით იოლია იყო მუსლიმანი, ვიდრე აზერბა-

იჯანში იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი.

თეოლოგის თქმით, პატრიარქს სტუმრისთვის 400 მეჩეთისა და ჯამეს შესენება იმისთვის დასჭირდა, რომ, სავარაუდოდ, მხედველობაში ჰქონდა საინგილო, სადაც ყოველდღიურად ველოდებით, რომ შეიძლება ჩვენი მღვდელი არ შეუშვან. თუ ჩვენ ვხსნით მეჩეთებს, ეს ჩვენი შიდა საქმეა და საკუთარ მუსლიმან მოქალაქეებს ვუხსნით მეჩეთებს. ეს ნიშნავს, რომ ამ მხრივ თავისუფლება საქართველოში. ჩვენთან მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები მუსლიმანური ქვეყნების საპატრონონი არ არიან, ისინი ჩვენი საპატრონოები არიან. თუნდაც ჩვენი აჭარელი მუსლიმანები არცთუ უნდა იმართებოდნენ ბაქოდან?!

ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზური** აღნიშნავს, რომ ჩვენმა უწმინდესმა, ილია მეორემ ძალიან სწორად წამოჭრა ქართული დანესებულებების გახსნის საკითხი აზერბაიჯანში, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში ამდენი მეჩეთი, ჯამე გაიხსნა, ჩვენთან დაცული არიან მუსლიმანები, რასაც ვერ ვიტყვით აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებზე.

„ამას სახელმწიფოებრივ დონეზე მოვლა, პატრონობა სჭირდება და ეს დიდი ხნის წინათ უნდა გაგვეკეთებინა. ასევე, პატრონობა სჭირდება აზერბაიჯანის, სომხეთისა და დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ძეგლებს. მისასალმებელია, რომ ასეთი შეხვედრა შედგა და ასეთი ურთიერთობა გამოხატა საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა მუსლიმანური რელიგიის შეიხმა. სასიხარულოა, რომ ასეთი პატივისცემა აქვთ ჩვენი პატრიარქის მიმართ. ასეთი დიდი სახელი სწორედ ჩვენი უწმინდესის უშუალო დამსახურებაა.“

ვფიქრობ, კავკასიის მუსლიმანთა სულიერი ლიდერის ნათქვამს ისლამისტების თვალშიც ექნება ღირებულება. როცა ფაშა-ზადე ჩვენი უწმინდესს მიმართავს, თქვენ ჩვენი წმინდანი ხართ, ამით მხოლოდ საკუთარ დამოკიდებულებას კი არ გამოხატავს, არამედ, როგორც ჩანს, უმაღლეს მუსლიმანურ საზოგადოებაშიც ასეთი განწყობაა ჩვენი პატრიარქის მიმართ“, — თქვა გიორგი ოთხმეზურმა.

მანანა ნოზაძე

პრაზიციანტის პოლიტიკური ტყუილები ახალციხეში, სტუდენტების პირისპირ!

ძმამნის მთავარი დოკუმენტი კონსენსუსის გარეშეა ხელმოწერილი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა კამპანიის — „კონსტიტუცია ყველასია“ ფარგლებში ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე. გიორგი მარგველაშვილის თქმით, საქართველოს კონსტიტუციის ხელს ყველა მოქალაქე უნდა აწერდეს და კონსტიტუციის წერის პროცესი უნდა იყოს კიდევ უფრო მეტად გამთლიანების, უფრო მეტად გაძლიერების წინაპირობა. მან ხალხის აზრის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ კონ-



სტიტუცია დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

„ქვეყნის მთავარი დოკუმენტი კონსენსუსის გარეშეა ხელმოწერილი და როდესაც საკონსტიტუციო კომისია თითქმის ყველამ დატოვა, ხალხის აზრი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა საარჩევნო სისტემის და პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლაზეც ისაუბრა. ის შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხალხის აზრით არავინ დაინტერესებულა ამ ცვლილებების მიღებისას.

სუთპროცენტიანი ბარიერი არ უნდა შეიხვედროს!

„თუ ჩამომთვლით საქართველოში 10 კვალიფიციურ პარტიას, მაშინ მე ვიქნები მომხრე ბლოკის ინსტიტუტის დატოვების, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მარგველაშვილი ახალ მოდელთან დაკავშირებით გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ განაცხადა.“

მისი თქმით, „სიმახინჯეა, რომ საქართველოში არსებობს 20 ე.წ. კვალიფიციური პარტია და ვიდრე ბლოკები იქნება, ეს სიმახინჯე დარჩება ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში“.

„ნამდვილი სიმახინჯეა, რომ საქართველოში არსებობს 20 ე.წ. კვალიფიციური პარტია და ვიდრე ბლოკები იქნება, ეს სიმახინჯე დარჩება ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში. 5%-იანი ბარიერი არის უპირობოდ მნიშვნელოვანი, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს სტაბილური საპარლამენტო სისტემა და რაც შეეხება ე.წ. ბონუსს, ანუ გაუნაწილებელი მანდატების განაწილებას, ამასაც აქვს გადაამწყვეტი მნიშვნელობა იმისთვის, რომ საქართველოში გაგრძელდეს სტაბილური განვითარება. ჩვენ ვცვლით არა ერთ სისტემას უკეთესით, არამედ შე-

მოგვაცქეს კარგი ოპტიმალური სისტემა საქართველოსთვის. როცა საქმე ეხება ამას, აქ, ბუნებრივია, კომპრომისზე საუბარი ზედმეტი. ჩვენ ვერ წავალთ კომპრომისზე ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინაშე“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრაზიციანტი, არაპირდაპირი წესით, შესაძლოა, 2018 წელსვე აპირდით!

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას 2018 წელს არ გამოირიცხავს.



„ჯერჯერობით საქმე იქით მიდის და ეს პირდაპირ ჩანს, არასწორი ნაბიჯები იდგმება ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან პრეზიდენტის თაოსნობით. ეს არის ძალიან სამწუხარო მოვლენა. პრეზიდენტი, რომელიც უნდა იყოს ზეპარტიული ფიგურა ამ სისტემაში, პარტიებთან თანხმდება თავისი ადმინისტრაციის მეშვეობით, რომლის სტატუსი გაუგებარია, თავისი ადმინისტრაციის თაოსნობით ხვდება პოლიტიკურ პარტიებს, ე.წ. ექსპერტებს და მათთან თანხმდება იმაზე, თუ როგორ უნდა მიიტანონ ითერში საქართველოს პარლამენტზე“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ამ ლათინური ტერმინით (civilis – სამოქალაქო) საქართველოში უკვე ხუთი წელიწადია კომპიუტერული პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ყოვლისმცოდნე ექსპერტები, უფლებადამცველები, სახელისუფლებო პოლიტიკის მომხრეები და მონინალდმდეგეები, ქუჩის მოვაჭრეები, მემბროსე სტუდენტები, მჩხიბავ ვარსკვლავთმრიცხველები და საეჭვო გონებრივი მონაცემების მქონე „ინტელექტუალური ელიტის“ წარმომადგენლები...



რმა სხვა მოაზროვნე ჩაუყარა საფუძველი ძალიან საინტერესო და საკმაოდ რთულ ფილოსოფიურ მოძღვრებას, ლიბერალიზმს, რომელიც დღეს უფრო პოლიტიკური იდეოლოგიის, საზოგადოების მართვის სისტემის როლში გვევლინება და სახელისუფლებო ძალაუფლების შეზღუდვას, სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას, მოქალაქეთა აზროვნებისა და მენარმეობის თავისუფლებას, საზოგადოების მართვის სისტემის გამჭვირვალობას, სამემოსავლო გადასახადების მინიმუმამდე შემცირებას, ეკლესიის საერო ცხოვრებაში ჩაურევლობას, კიდევ ბევრ სხვა პოსტულატს გულისხმობს.

პატივსაცემი ვითხოვ იმ ადამიანების წინაშე, ვინც ყველაფერი ეს ჩემზე განუზომლად უკეთ იცის. დარწმუნებული ვარ, ისინი თანამედროვე საქართველოში საკმაოდ ბევრია. თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტების 60-70-იანი წლების კურსდამთავრებულები დამეთანხმებიან, რომ მასწავლებელ სტუდენტობას სხენებულ მოაზროვნეთა ნაშრომებს საკმაოდ დანერგებით გვასწავლიდნენ და არცთუ სოციალისტური იდეებით შეფუთულს. ყოველ შემთხვევაში, არ მასწავლებია, ვინმე ათეისტსა კი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია საზოგადოების დაუძინებელ მტრად, საკუთარი თავი კი ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლად მოეხსენებინოს.

CIVILIS

მას შემდეგ, რაც თავდავირა დავეყენეთ საუკუნობრივი წარმოდგენები გეოგრაფიაზე, საქართველოს, ქართველური ტომების ევროპელობა უაპელაციოდ დაეცა და თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისაკენ (კულტურული და ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებებისკენ) მიმავალ გზას უკანმოუხედავად დავაღვექით, უცხო ტერმინების ქარავენებას კარი ამაყად გავუფრიალეთ. თუ ქართველობა, ქართული ადათ-წესები, ქართული ტრადიციები, ქართული ენა და კილოკავები აღარ გვჭირდება და არც რამდენად გვიღირს, მაშინ უცხოური უაზრო და აზრიანი ტერმინების თარეში საშიში არაფერია – თანამედროვე ლიბერალიზმის (ნეოლიბერალიზმის) ერთერთი მძლავრი მიმდინარეობა ხომ მსოფლიო ეკონომიკის, ერების, ენების, სახელმწიფოების შერწყმას და, შესაბამისად, რელიგიების „იდეის დასრულებასაც“ გულისხმობს.

„ჩვენ, ლიბერალები მალე დავასრულებთ მართლმადიდებლობის ანტიცივილურ იდეას საქართველოში! მეგობრებო! დღეს მართლმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვაზე, თვითონ თავისუფლების უწმინდეს იდეაზე. არა საპატრიარქოს, არა რომელიმე მღვდელმსახურს, არა პარლამენტარს და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ, პირველ რიგში, სწორედ – მართლმადიდებლობას, ამ შეზღუდულ რუსულ იმპერიალისტურ იდეოლოგიას. სწორედ მართლმადიდებლობა და არა რომელიმე ორგანიზაცია ან პიროვნება არის მთავარი წინააღმდეგობა საქართველოში დასავლური ფასეულობების საბოლოო დამკვიდრებისა და ყველა მისი მიმდევარი სინათლის და პროგრესის ცნობიერი თუ გაუთვინცობიერებული მტერია. ამიტომ ჩვენ ლიბერალები, საქართველოს ინტელექტუალური ელიტა, საქართველოს ქვეშაირი პატრიოტები, ვიბრძობებით ბოლომდე და ყველა კანონიერი საშუალებით, სანამ საბოლოოდ არ დავასრულებთ ამ ანტიპროგრესულ, ანტიცივილურ იდეას საქართველოში...“

უსსრ ტერიტორიის მოქალაქე მემორიალ ბრიყვების ახირება კი არა, ქართველი ერის განადგურების მომხსენებელია!

იდეები; არ იცის, რომ საქართველოსთვის მართლმადიდებლობა არ არის და არც შეიძლება იყოს „შეზღუდული რუსული იმპერიალისტური იდეოლოგია“ თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართულ ქრისტიანობას რუსულთან შედარებით ექვსსაუკუნეანხვერიანი უპირატესობა აქვს; არ იცის არსი ლიბერალიზმისა, რითაც ასე თავმოშენებულს („ჩვენ, ლიბერალები, საქართველოს ინტელექტუალური ელიტა...“)

ლიბერალიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთსა და ფრანგი განმანათლებლების მონტესკიეს, ვოლტერის, ჟან-ჟაკ რუსოს, დენი დიდროს, ჰელვეციუსის, დალამბერის, ლავუაზიეს და სხვათა სახელებს უკავშირდება. ფრანკოფილობაში (რითია რუსეთში) იმპერიალიზმის (რითია რუსეთში) რომ არ ჩამოეთვალა, ვიტყვი, რომ ლიბერალური ფილოსოფიური აზრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბრიტანელებმა ადამ სმიტმა, ისააკ ნიუტონმა, ჯონ ლოკმა, თომას ჰობსმა, დევიდ ჰიუმმა; გერმანელებმა ლაიბნიცმა, ლესინგმა, კანტმა, გაუსმა, ჰერდერმა, ადამ სმიტმა; ამერიკელებმა ჯონ ადამსმა, თომას ჯეფერსონმა და ბენჯამინ ფრანკლინმა; რუსებმა ლომონოსოვმა, რადიშევმა, შჩერბატოვმა და თვით პეტრე დიდმა... არ ვახსენებ არანაკლებ სახელოვან ნიდერლანდელ, პოლონელ, ესპანელ, შოტლანდიელ, იტალიელ, ირლანდიელ, ავსტრიელ თუ ნორვეგიელ განმანათლებლებს.

სწორედ აქ ნახსენებმა და კიდევ ბევრ

მეტე საუკუნის საფრანგეთსა და ფრანგი განმანათლებლების მონტესკიეს, ვოლტერის, ჟან-ჟაკ რუსოს, დენი დიდროს, ჰელვეციუსის, დალამბერის, ლავუაზიეს და სხვათა სახელებს უკავშირდება. ფრანკოფილობაში (რითია რუსეთში) იმპერიალიზმის (რითია რუსეთში) რომ არ ჩამოეთვალა, ვიტყვი, რომ ლიბერალური ფილოსოფიური აზრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბრიტანელებმა ადამ სმიტმა, ისააკ ნიუტონმა, ჯონ ლოკმა, თომას ჰობსმა, დევიდ ჰიუმმა; გერმანელებმა ლაიბნიცმა, ლესინგმა, კანტმა, გაუსმა, ჰერდერმა, ადამ სმიტმა; ამერიკელებმა ჯონ ადამსმა, თომას ჯეფერსონმა და ბენჯამინ ფრანკლინმა; რუსებმა ლომონოსოვმა, რადიშევმა, შჩერბატოვმა და თვით პეტრე დიდმა... არ ვახსენებ არანაკლებ სახელოვან ნიდერლანდელ, პოლონელ, ესპანელ, შოტლანდიელ, იტალიელ, ირლანდიელ, ავსტრიელ თუ ნორვეგიელ განმანათლებლებს.

საქართველოს არსებობისთვის მთავარი საკითხი არაა რუსეთთან საერთო ენის გამოყენება, არამედ ის გაუპოვებელი ნაყოფიერება რუსული იდეები, რასაც თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის ლექტორი და მისი მიმდევარი გვიჩვენებენ.

ამიტომ ვფიქრობ, რომ უსსრ ტერიტორიის ასე მოქალაქე ვიღაც მემორიალ ბრიყვების ახირება კი არა, ქართველი ერის, ქართველობის განადგურების მომხსენებელია!

...ან იქნებ ყველაფერი იმ დანწყვილი და უაზრო „ცივილური-ანტიცივილურის“ ბრალია.

თაიბურაზ ქორიძე.
23. 04. 2017 წელი



დავიწყით იმით, რომ ამ „მიმართვის“ ავტორმა არ იცის ტერმინ ცივილიზაციის მნიშვნელობა; რომ ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს „ცივილური“ ან „ანტიცივილური“

საბიუჯეტო ენას ძალთან ერთად, „ტვინიც“ არა ჰქონია!

„სამომქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან საბეიშვილი თბილისის საკრებულოსთან დაკავშირებით ახალ კვლევას ასაჯაროვებს. „თბილისის „ნოტარიუსთა პალატის“ 50 წევრის შენახვა, 2015-16 წლებში, ბიუჯეტს 2 464 298 ლარი დაუჯდა. საუბარია, დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატებთან წოდებულ პირებზე. ამ ხნის განმავლობაში, თბილისის საკრებულოს წევრებმა 273 475 ლირი სანჯავი მოიხმარეს, რაც ლარებში თითქმის 550 000 ლარია. მათმა სამივლინებო ხარჯმა 2 წლის განმავლობაში, 367 540 ლარი შეადგინა. თუ წლებანდელს 3 თვის „მონაგარს“ დაეუმატებო, ჯამში 402 885 ლარი დაგვიჯდა საკრებულოს დეპუტატების ვიკაჟები სხვადასხვა ქვეყნებში. არ არსებობს დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს რაიმე შედეგსა და სიკეთეს, რომელიც მათმა „მივლინებებმა“ მოუტანა დედაქალაქს. 2015 წლიდან დღემდე საკრებულოს წარმომადგენლობითმა ხარჯმა (რესტორნები, მინერალური წყლები, ყავა, ჩაი და სხვა) 100 422

ლარი შეადგინა. ასევე საკრებულოს ვთხოვეთ, დოკუმენტალურად მივწოდებინათ ინფორმაცია იმ შეხვედრებისა და აქტივობების შესახებ, რაც ამ ხნის განმავლობაში დეპუტატებს ჰქონდათ. ასევე მოვთხოვეთ საშუალო ბიუროდან ამონაწერი, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციას, თუ რომელმა დეპუტატმა, რამდენი მოქალაქე მიიღო 27 თვის განმავლობაში. თუმცა ამაზე პასუხი ვერ მივიღეთ... როცა საკრებულოს მოვიხსენებთ როგორ ნოტარიუსს, შეგახსენებთ შემდეგ ფაქტებს. ამ საკრებულომ და მათმა უმრავლესობამ თვალები დახუჭეს, წარმანიას მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნაზე, რომელიც თანამშრომლების უმიზეზოდ გათავისუფლებაში გამოიხატება (რასაც სასამართლოს ათობით გადანაწევრებულ ადასტურებს), თვალის დახუჭეს ჩაჭრილ თანამდებობის პირებზე, კორუფციაზე, ნეპოტიზმზე, პროკურორის შვილისთვის გადაცემულ თანხებზე, ნაზლიძის მილიონზე, ბოტანიკური ბაღის გასხვისებაზე, პანორამა თბილისზე და ა.შ.“ – განაცხადა ლევან საბეიშვილმა.

ლარი შეადგინა. ასევე საკრებულოს ვთხოვეთ, დოკუმენტალურად მივწოდებინათ ინფორმაცია იმ შეხვედრებისა და აქტივობების შესახებ, რაც ამ ხნის განმავლობაში დეპუტატებს ჰქონდათ. ასევე მოვთხოვეთ საშუალო ბიუროდან ამონაწერი, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციას, თუ რომელმა დეპუტატმა, რამდენი მოქალაქე მიიღო 27 თვის განმავლობაში. თუმცა ამაზე პასუხი ვერ მივიღეთ... როცა საკრებულოს მოვიხსენებთ როგორ ნოტარიუსს, შეგახსენებთ შემდეგ ფაქტებს. ამ საკრებულომ და მათმა უმრავლესობამ თვალები დახუჭეს, წარმანიას მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნაზე, რომელიც თანამშრომლების უმიზეზოდ გათავისუფლებაში გამოიხატება (რასაც სასამართლოს ათობით გადანაწევრებულ ადასტურებს), თვალის დახუჭეს ჩაჭრილ თანამდებობის პირებზე, კორუფციაზე, ნეპოტიზმზე, პროკურორის შვილისთვის გადაცემულ თანხებზე, ნაზლიძის მილიონზე, ბოტანიკური ბაღის გასხვისებაზე, პანორამა თბილისზე და ა.შ.“ – განაცხადა ლევან საბეიშვილმა.

მეზობლის ვაჟს, ამჟამად ამერიკის მოქალაქეს, მესუთე შვილი შეეძინა, ისიც ვაჟი, ხოლო აქვე, ჩემი სახლის მესუთე სადარბაზოელ მამედოვის მეორე ქალიშვილსაც მესუთე ბიჭი, და სამეზობლო ტრადიციულად მივულოცეთ, დავულოცეთ... ასევე, ჩემს მეზობელ ყორანაშვილს, ამჟამად გერმანიის მოქალაქის ვაჟიშვილს, 5 შვილი ჰყავს და ახლა მეექვსე შვილიშვილს ელოდება, ისიც გერმანიის მოქალაქე იქნება, სამი ამერიკაში ყავს ქალიშვილისგან, რა თქმა უნდა, ისიც ამერიკის მოქალაქე, შუათანა ვაჟი, საქართველოს მოქალაქე 35 წლისა, უცხოლოა და რას აპირებს ან საქმიანობს, კაცმა არ იცის.

კიდევ ერთი სტატისტიკა, როდესაც ამ წერილს ვწერდი, ტელევიზიამ „გვახარა“, რომ თბილისში, მეცხრე საოლქოდან 29 წლის მშენებელი გადმოვიარდაო, ხოლო ქუთაისი-სამტრედიის გზატკეცილზე ავტოავარიამ კიდევ 5 ადამიანის სიცოცხლე შეინარაო. მათ შორის, ერთი შვიდი თვის ფეხმძიმე მანდილოსანი.

იმავ დღეს, გურიაში, ქარისაგან აღეჯილ სახურავის შესაკეთებლად ასული შუახნის მამაკაცი ქარმა გადმოაგდო.

ეს ავარიები რომ არ იყოს, რა ეშველებოდა ჩვენს ტელევიზიებს, – იბოლმება ჩემი მეგობარი ალექსანდრე – ისე, რა უნდა ქნას მთავრობამ, როდესაც თვითონ ადამიანები მიდიან თვითმკვლელობაზე.

აქ არ შევუდგები იმის აღწერას, შარშანწინ, შარშან, წლეულს განვიღო პერიოდში ავტოავარიებს რამდენი თანამემამულე ემსხვერპლა, რამდენი დასახინდა, რამდენი ოჯახი გაუბედურდა და რამდენი კერა ჩაქრა, მოისპო, ამოიძირკვა.

ისე კი, ავტოავარიების მხრივ, მსოფლიოში ფრიალ საპატიო ადგილი გვიჭირავს თურმე.

მე რვასართულიან სახლში ვცხოვრობ და შებინდებისას თუ დავბრუნდი შინ, შემაგვიანდა, სადარბაზომდე მის-



უბრალოდ სტატისტიკა და კიდევ...

ვლა ერთობ სერიოზული სირთულეა. ამ გაჭირვებულ, მშვიერ, უსახსრო, ულუკ-მაპურო ქვეყნის, ნაცების ენით რომ ვთქვათ, „უუნარო“ ხელისუფლების შემყურეთ, 2, 3, 4 უცხოური მარკის მანქანა კი უყენია ეზოში, ადრე მოპარვის შიშით, სადღაც, სადღაც თუ მალავდნენ, ახლა ზოგი, შინ გვიან დაბრუნებული, თავის ელვა მანქანას სადღაც ქუჩის მიღმა, ხეივანთან, ეზოს გარეთ უშიშრად ტოვებს და დილით ჩვეულებრივად იქვე ხვდება.

სამუშაოდან დაბრუნებული და უსაქმური, სამუშაოს მაძიებელი – არმაძიებელი, დაღლილი თუ დაუღლებელი, იქვე, ეზოს მიყრუებულში დილიდან გაშლილ სუფრას მიუსხდებიან, ვერ ვიტყვი, გრძელ-გრძელი სადღეგრძელო იქ ლავდნენ თავს, სამშობლოს სადღერძელო თუ დასცდა ვინმეს, ეგრემც იყო-სო, მიაძახებენ, ჰოდა, ისმება ღვინო,

არაყი, ლუდი უმეტესად. არის ერთი ღრიანცელი, ხორხოცი, ზოგჯერ ძილსაც არ დაგანებებენ.

ერთი კია, დილით ეზო, თანაც საკმაოდ მოზრდილი, მისი მიმდებარე ტერიტორია, ერთიანად ცარიელდება, ეს უკვე კარგია, ოღონდ ვინ რას საქმიანობს, რა დოვლათს ქმნის, რითი აძლერებს ქვეყნის ეკონომიკას, ამის თქმა ძნელია.

სამაგიეროდ, ახალგაზრდები, ანუ უმანქანოები, 18-25 წლისანი, ზოგიც უფრო პატარები, ზოგიც ბევრად ასაკოვანნიც, დადიან, დაყილობენ ან ბანქოს თამაშობენ ან დომინოს, მერე ისინიც გაახაზირებენ ლუდს, ხახვსა და მშრალ პურს მიაყოლებენ, და ამ უპატრონო თაობის გამკითხველ არავინაა.

აბა, რა ქნან, სამუშაო არაა და... ამ დროს უცხოეთიდან, თუ ახლო სამეზობლოდან შემოსულნი, სხვადასხვა

ფერის, ჯურის, სარწმუნოების, უკვე საქართველოს მოქალაქე თუ არამოქალაქე, ყიდულობს მიწებს, აშენებს სასახლეებს და ზღაპრული სიმარდით ამრავლებენ პატარ-პატარა საქართველოს მოქალაქე გოგო-ბიჭებს.

ერთი ჩემი ძველი ნაცნობი როლანდ თაბაგარი (დიდი ხნის წინათ მეტალურგიაში ერთად ვმუშაობდით), ქუჩაში სწირად მხედება, მიუხედავად ასაკისა, ყოჩაღად გამოიყურება, როგორ ხარმეთქი, ძალიან კარგად, სამი ვაჟი და ათობით შვილიშვილი, ზოგი ამერიკელი გახდა, ზოგი ესპანელი, მუდღე კი გარდაეცვალა, არადა, ადრე იყოჩაღა, სამსართულიანი სახლი კი წამოჭიმა და კია შიგ. მის სახლს, ჯერჯერობით კი ინარჩუნებს, მაგრამ, ერთი ახლად ჩამოსული ყიზილბაში შეუწინა და...

აქ შევდექე, გავიფიქრე, მოდი, ერთხელ კიდევ შევძახებ ქართველობას, ერო, გამოფხიზლდი, გონს მოდი, ალექსანდრე აბაშელის ლექსიც წამომეშველა, „მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგასო“, მაგრამ გამგონი, ვაჟკაცურად დამხვედური ვერავინ დავიგულე, არადა, „მონურ უღლის ტაბიკზე შემოგვიჭერს აპეურსო“, – და ყანყართო რომ გაუხმება, მერე გვიანი იქნება.

ისე კი გაუცუდედა, მართლაც ამ შესანიშნავ მამულიშვილს, დიდებულ პოეტს გაფრთხილება, „რომ ნესტან და თინათინ მტერს არ მისცე მხეველებადო“, ამაზე მეტი უბედურება რაღა უნდა იყოს, მილიონზე მეტი ქართველი დედა, ბებია, მომავალი დედა, უცხოეთშია გადახვეწილი და იქ მონურ შრომას ეწევა!

და მაინც პოეტურად შევძახებ: „საქართველოს გუშაგო, მესმის შენი ძახილი“.

ერო, გამოფხიზლდი!
გივი ჯახუა



მოყინული პენახები და ბალები

26 აპრილს, გამთენიისას, საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის გამო მრავალწლოვანი ნარგავები გაიყინა კახეთის, ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭისა და იმერეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტში. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ჯერ არ ფლობს სრულ ინფორმაციას ზარალის მასშტაბის თაობაზე, თუმცა, როგორც ფერმერები ამბობენ, ზარალი მნიშვნელოვანია. ფერმერთა მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ აგროდაზღვევის მოქმედი პრაქტიკა არ ითვალისწინებს მოსავლის დაზღვევას ყინვებისგან.

ყინვამ დააზარალა ზაზა გაგუა, რომელმაც მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ თარგამეულში ოთხი წლის წინათ ოჯალეშის ვენახი გააშენა:

„წელს ველოდებოდით პირველ სრულფასოვან მოსავალს, მესუთე წელში... ტემპერატურა იყო – 1 გრადუსი. წინასწარი პროგნოზით, ყინვა არ უნდა ყოფილიყო და ჩვენც, შესაბამისად, არ ვიყავით მზად, ამიტომ მთლიანად მოიყინა. ყველა ფოთოლი გამხმარია. თან ქარი დაემატა ამ ყველაფერს და სულ გასცვივდა ფოთლები. ახალი ყლორტები უნდა გამოიღოს. წელს მცენარის გადარჩენაზე უნდა ვიზრუნოთ, მოსავლის დაკარგვას უკვე შევეგუეთ. ასეთ მდგომარეობაშია მთელი სოფელი“.

ამ მდგომარეობაშია ბალები და ვენახები საქართველოს ბევრ რაიონში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის წარმომადგენელ შალვა აქრემიძის კომენტარი:

„26 აპრილს -2 და -4 გრადუსი ყინვა დაფიქსირდა სხვადასხვა რეგიონში. დაზიანდა მრავალწლოვანი ნარგავები სამ-



ცხე-ჯავახეთის რეგიონში, რაჭაში ამბროლაურის რაიონი, ვანის და ბაღდადის მუნიციპალიტეტები იმერეთის მხარეში, კახეთში საგარეჯო, სამეგრელოს ზოგიერთი სოფელი... თუმცა ჯერჯერობით ზუსტი ზარალი არ ვიცით. საჭიროა რამდენიმე დღე იმის გასარკვევად, თუ რა დოზით დაზიანდა მრავალწლოვანი ნარგავები“.

ყინვამ დააზარალა მრავალწლიანი ნარგავები მცხეთასა და მარნეულის რაიონებში. მძიმე მდგომარეობაა გორის რაიონში.

ფერმერების თქმით, ყინვამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ვენახები, რომლის ყლორტები და კვირტები დააზრო სიცხემ. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორი გიორგი სამანიშვილი ამბობს, სწორედ გაზაფხულის ყინვები უქმნის ვაზს ყველაზე დიდ საფრთხეს:

„ზამთრის პერიოდში, როცა ვენახს სძინავს, ყინვას გაცილებით უკეთ უძლებს, ვიდრე გაზაფხულზე, როცა კვირტი გამოსულია და წვენი მოძრაობს ვაზში. შესაბამისად, გაზაფხულის წყინვები უფრო მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სოლმე ვაზს და, ზოგადად, მცენარეს. ყინვების დროს ვენახში ანთებენ სოლმე ცეცხლს, ძირითადად ღამ-ღამობით, რათა მცენარეში ტემპერატურა არ დაიწიოს ნულზე დაბლა. ცეცხლის გარდა, ასევე მიმართავენ სხვა ტექნიკურ საშუალებებსაც“.

თუმცა ქართველი ფერმერების დიდ ნაწილს არც ამ ტექნიკურ საშუალებებზე მიუწვდება ხელი და არც მოსავლის ყინვისგან დაზღვევაზე. აი, რას ამბობს მარტვილელი მევენახე ზაზა გაგუა:

„აგროდაზღვევა, რომელიც სახელმწიფო პროგრამით სუბსიდირდება, ფაქტობრივად, მორგებულია მხოლოდ კახეთის რეგიონს. იზღვევა ვენახი სამ რაღაცაზე: წყალდიდობა, სეტყვა და გვალვა, რომელთა რისკები დასავლეთ საქართველოში მინიმალურია. ასევე პრობლემაა ის, რომ არ იზღვევა გაზაფხულის ყინვები და დაავადებები. ასევე მიუღებელია ანაზღაურების მოცულობა. წითელ ყურძენზე 1 ლარი, თეთრზე – 80 თეთრი. ჩვენი ოჯალეშის ფასი 5 ლარია და ერთ ლარად დაზღვევა არარელევანტურია“.

ზაზა გაგუას მსგავსად, აგროდაზღვევის ხარვეზებზე საუბრობს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე, რომლის 5 პეტარზე გაშენებული ბაღი ასევე დაზიანდა ყინვამ:

„რაც სჭირდება ფერმერს, იმას არ აზღვევენ. ეს არის: საგაზაფხულო ყინვა, გვალვა და პირუტყვის დაზღვევა. ეს არის სამი უმნიშვნელოვანესი რამ, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ფერმერისთვის, მაგრამ არ იზღვევა. ცვლილების დიდი იმედი არც ახლა მაქვს, რადგანაც ოთხი წელია უშედეგოდ ვიბრძვით ამისთვის“.

ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამმართველოს უფროსის სვეტლანა ნიორაძის თქმით, უახლოეს დღეებში არსად საქართველოს ბარში ყინვა მოსალოდნელი აღარ არის.

გივი ჯახუა

მინის რეგისტრაციის რეფორმა 2018 წლის 1 ივლისამდე ბრძანდება

მინის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 2016 წლის 1 აგვისტოდან მიმდინარეობს.

უპრეცედენტო რეფორმის მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მინის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან. კანონის თანახმად, მინის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა. რეფორმა 2018 წლის 1 ივლისამდე გრძელდება.

სარეგისტრაციო წარმოებისთვის მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ საჯარო რეესტრის ფილიალებს, იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს.

სახელმწიფო ბიუჯეტში მარტში მილიარდ ლარზე მეტი შევიდა

სახელმწიფო ბიუჯეტში მარტში მილიარდ ლარზე მეტი შევიდა. საქსტატის მონაცემებით, გასულ თვეში ბიუჯეტის შემოსავლებმა 1 060,6 მლნ ლარი შეადგინა, ხარჯებმა კი 757,4 მლნ ლარი. პირველ კვარტალში კი ბიუჯეტის შემოსავლებმა ჯამში 2 435,7 მლნ ლარი შეადგინა, ხარჯებმა კი – 2 071,3 მლნ ლარი.

მათივე ინფორმაციით, მარტში ეკონომიკური ზრდა 5.3% იყო, პირველ კვარტალში კი ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 5% შეადგინა.

დაპრკალებს წოდებით – ავიაციის მთავარი მარ- შალი. ოცდაერთი წლის შემდეგ, რაც პირისპირ ცრუ- ობდა სტალინის წინაშე და დანაშაულებრივად მალავ- და ფრონტისგან შვიდას ჰაერივით საჭირო თვითმ- ფრინავს. მისი სიცრუის ფასად დაიღვარა საბჭოთა ჯარისკაცების სისხლი, და მას არაფერი დამართნია. ეპ, კეთილი და ზედმეტად დემოკრატიული იყო სტა- ლინი...

ისტორიამ კი თვითმფრინავების შესახებ, რომელ- ბიც ქარხნებში იდგნენ მფრინავების გარეშე, მიიღო გაგრძელება. მას შემდეგ, რაც მე გამოვაქვეყნე ეს ფრაგმენტი ჩემს ბლოგში, სხვა გამოსმაურებათა შო- რის მივიღე ასეთი წერილი:

„ბაბუაჩემის ნიკოლაი არქივოს ძე გუბასოვის (1918-1985) და მამის ნიკოლაი ნიკოლაის ძე გუბასო- ვის (დაიბადა 1949 წ.) სიტყვებით, საქმე იყო სტალინ- გრადთან. სადაც იყო ძალიან ბევრი თვითმფრინა- ვი, მაგრამ არ ყოფილა ეკიპაჟები. მაშინ სტალინს უთხრეს, რომ მფრინავები არის, მსროლელები არ გვეყოფნისო. და სტალინმა თქვა, რომ იფრინონ ასე, მსროლელებს კი ფრონტზე მონახავენო. ბაბუას თა- ნაპოლკელის სიტყვებით, ისინი საკმაოდ დიდხანს იდ- გნენ ძალების შეკრების დროს სტალინგრადის ბრძო- ლის წინ. და როდესაც ისინი მწყობრში აიყვანეს და მოხალისეებს უბრძანეს გადაედგათ ნაბიჯი წინ, ეს ნა- ბიჯი გადადგეს უფრო მეტად ცნობისმოყვარეობის- თვის. მათ ასევე ეუბნებოდნენ, რომ დაიღუპებით, თქვენ ძვლებსაც ვერსად აღმოაჩენენო. შედეგად ბა- ბუა მივიდა ბერლინამდე, ეკიპაჟი რამდენჯერმე მი- დიოდა ტარანზე, თვითმფრინავი რამდენჯერმე ჩამო- აგდეს, ორჯერ მინაზე დაეშენნენ მტრის ზურგში, გა- დადიოდნენ ფრონტის საზღვ. ვინც დარჩა... დარტყმა მათი დისლოკაციის ადგილზე მოხდა... თუ არაფერი მემღება, უამრავი ადამიანიდან ათი-თორმეტი კაცი- ლა დარჩა... ბაბუა ძალიან განიცდიდა, რომ ამხანაგე- ბი დასალუბად გასწირა“...

პატიოსნად მიპასუხეთ: თქვენ როგორ მოიქცეო- დით იოსებ ბესარიონის ძის ადგილზე?

ისევე რბილად, როგორც ის? ან, იქნებ, ასე არა? დაიმასხვრეთ თქვენი პასუხი. და შემდეგ, როდესაც მორიგი „სვანიძე“, ან „მლეჩინი“ დაგინყებთ საუბარს „სისხლიან დიქტატორზე“, გაიხსენეთ ეს ისტორია...

ჩვენი საუბარი სტალინზე ჩვენ დავიწყეთ დიდი სა- მამულო ომიდან. ახლა დადგა დრო შევისწავლოთ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ბიოგრაფია, მისი ბე- დი მეტად მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან.

IV

სტალინის ბიოგრაფია და ქვეყნის ისტორია: 1879-1938

„სიტყვა „მე“ სტალინის საქმიან ლექსიკონში არ ყოფილა. ამ სიტყვის იყენებდა, მხოლოდ როდესაც პირადად თავს თავზე ლაპარაკობდა. ისეთი გამო- ნათქვამები, როგორებიცაა „მე მივეცი მითითება“, „მე გადავწყვიტე“ და ასე შემდეგ, საერთოდ არ არ- სებობდა, თუმცა ყველა ჩვენგანმა იცის, რა წონა ჰქონდა სტალინს და რომ სწორედ მას, და არა სხვას ვინმეს იმ დროს, შეეძლო მოეცა განმარტება პირვე- ლი პირის სახელით, ყველგან და ყოველთვის ის ამ- ბობდა „ჩვენ“.

მარხალი აგოლოვანოვი

ნებისმიერ ადამიანს ქმნის ვითარება. რომ არ აღ- მოჩენილიყო ის საჭირო ადგილას, არ შეხვედროდა საჭირო ადამიანებს, არ ეკითხა საჭირო წიგნები – არც იქნებოდა ასეთი ადამიანი. ესე იგი, რასაკვირველია, ადამიანი იქნებოდა. მაგრამ ისტორიული მოღვაწე შე- იძლებოდა არც გამოსულიყო. რა უნდა ითქვას დაბა- დების ადგილზე, ოჯახზე? ყველაფერი იძლევა თა- ვის ამონაყარს შეხედულებათა იდეებისა და ქცევის



სტალინის მშობლები



ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენავთ ერთად

სახით. ამიტომ შეუძლებელია გაუგო სტალინს იოსებ ბესარიონის ძე ჯუღლაშვილის ბიოგრაფიის ყურადღე- ბით შეუსწავლელად.

საბჭოთა კავშირის მომავალი მეთაური, რუსეთის ისტორიაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს მომავალი შემქმნელი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს, ტფი- ლისის გუბერნიის ქალაქ გორში. მამამისი – ბესარიონ ივანეს ძე – ეროვნებით ქართვე- ლი, წარმომავლობით იყო ამა- ვე გუბერნიის სოფელ დიდი ლი- ლოს გლეხების ოჯახიდან. პრო- ფესიით იყო მეფეხსაცმელე, შემ- დეგ მუშაობდა ტფილისში ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკაში. მისი დედა – ეკატე- რინე გიორგის ასული – იყო სო- ფელ გამბარეულის გლეხის გე- ლაძის ასული.

უბრალო ხალხისთვის, რო- გორებიც იყვნენ სტალინის მშობლები, წერა-კითხვის ცოდ- ნა და განათლება იძლეოდა სა- ზოგადოებაში გასვლის შანსს. კარიერა კი საეკლესიო სარბი- ელზე რუსეთის იმპერიაში იყო მიმზიდველი უბრალო ხალხი- დან გამოსულთათვის. თუ გა- ვითვალისწინებთ, რომ შემორ- ჩენილი ცნობები ახასიათებს სტალინის დედას, როგორც ქმ- მარიტ მორწმუნეს, გასაგები ხდება შვილის სწავლების ადგილის შერჩევაც. 1888 წლის შემოდგომაზე ბიჭი სავსებით ბიბლიური სახელით – იოსები – შედის გორის სასულიერო სას- ნავლებელში. სტალინმა ის წარჩინებით დაამთავრა 1894 წელს და შევიდა ტფილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში. 1894 წელი – ესაა იმპერა- ტორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების წელი. ეს იყო, დღევანდელი დღით თუ ვილაპარაკებთ, რუსეთში პო- ლიტკური დათბობის წელი. ამ ბრძენ მეფეს კიდევ ათი წელი რომ ეცოცხლა, იოსებ ბესარიონის ძე ჯუ- ლაშვილი მართლაც შეიძლებოდა გამხდარიყო მარ- თლმადიდებელი მღვდელი.

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. მეფის გარ- დაცვალების შემდეგ მარქსიზმმა და სხვა დამანგრეველმა იდეებმა დაიწყეს აქტი- ური გავრცელება მთელ იმპერიაში. რამ- დენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, მაგ- რამ „ტფილისის მართლმადიდებელი სე- მინარია მაშინ იყო ახალგაზრდებში ყო- ველგვარი განმათავისუფლებელი – რო- გორც სახალხო-ნაციონალისტური, ისე მარქსისტულ-ინტერნაციონალისტური იდეის კერა. იყო უამრავი საიდუმლო წრე. თხუთმეტი წლის სტალინი რევოლუცი- ონური ხდება. თავად სტალინი ამბობდა, რომ ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში თხუთმეტი წლის ასაკში, როდესაც დაუ- კავშირდა იატაკქვეშელ დაჯგუფებებს რუსი მარქსისტებისა, რომლებიც მაშინ ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ. სემინა- რიაში სწავლის დროს სტალინი აქტიუ- რად მონაწილეობს თავისი სასწავლებ- ლის მარქსისტული წრეების მუშაობაში. 1898 წლის აგვისტოში ის ფორმალურად შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიუ- ლი მუშათა პარტიის ტფილისის ორგანიზაციაში. სტა-

ლინი ხდება „მესამე დასის“ – პირველი ქართული სო- ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – წევრი. ის ბევრს და დაბეჯითებით მუშაობს საკუთარ თავზე. შე- ისწავლა მარქსის „კაპიტალი“, „კომუნისტური პარ- ტიის მანიფესტი“ და მარქსისა და ენგელსის სხვა შრო- მები. სწორედ მაშინ ეყრება საფუძველი მსოფლმხედ- ველობას, აგრეთვე თვითრუსოფიისა და ბევრი კითხვის ჩვევას. სტალინი კითხულობდა მთელი სი- ცოცხლის განმავლობაში – სხვადასხვარ ლიტერა- ტურას, ბევრი კომუნისტური ფუნქციონერისაგან განსხვავებით, რომლებსაც ლენინის და თავად სტა- ლინის ციტატებს იქით წინ არ წაუწყევიათ.

სტალინი, აქტიური მარქსისტი, ეწევა პროპაგან- დას სემინარიის მოსწავლეთა და მუშებს შორის. „მასწავლება 1898 წელი, – ამბობდა სტალინი, – როდ- ესაც მე პირველად მივედი სარკინგზო სახელოსნოების მუშათა წრეში... აქ, ამ ამხანაგების წრეში, მივიღე პირ- ველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირ- ველი მასწავლებლები თბილისელი მუშები იყვნენ“. ახალ- გაზრდა მარქსისტი წერს ფურცლებს, აწყობს გაფიც- ვებს, მონაწილეობს ლეზულობს არალეგალურ მუ- შათა კრებებში. და მისი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1899 წლის 29 მაისს მას რიცხავენ სემი- ნარიდან მარქსიზმის პროპაგანდისტისთვის. გაირიცხვის შემდეგ სტალინი გარკვეული დროის განმავლობაში ატარებს გაკვეთილებს, შემდეგ (1899 წლის დეკემბერ- ში) – მუშაობას ინყებს თბილისის გეოფიზიკურ ობ- სერვატორიაში მეთვალყურე გამომანგარიშებლად. ამ დროს არ წყვეტს რევოლუციურ საქმიანობას.

იმ დროს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცი- ები იყო მეტად ჭრელი და სხვაგვარი. სტალინის ორი- ენტაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვიქტორ კურნატოვსკიმ – განათლებულმა მარქსისტმა, ლენინის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა. 1900 წლის ზაფხულში თბილისში ის მჭიდრო კავშირს ამყარებს სტალინთან, ხდება მისი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. სწორედ ამ მომენტში ჩადგება ის „ლენინური პოლი- ტიკის ფარვატერში“, რაც მის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. როდესაც 1900 წლის დეკემბრიდან დაიწყო გამოსვლა ლენინურმა „ისკრამ“, ახალგაზრდა ქართვე- ლი მთლიანად დადგა მის პოზი- ციაზე და კიდევ უფრო აქტიუ- რად ჩაერთო რევოლუციურ მოლ- ვანეობაში.

1900 წლის აგვისტოში თბი- ლისში გაჩაღდა სარკინგზო სახელოსნოებისა და დეპოების მუშათა გრანდიოზული გაფიცვა. 1901 წელს თბილისის ცენტრში ეწყობა საპირველმართო დემონ- სტრაცია. სტალინი იყო ორგანი- ზატორი და ხელმძღვანელი ამ დემონსტრაციისა, რის შესახებაც აღმატებულ ტონში დაწერა გა- ზეთმა „ისკრამ“. რას აკეთებდნენ რუსეთის იმპერიის სამართალ- დაცვის ორგანოები? ისინი თავი- ანთ პურს ამაობ არ ცხამდნენ. და მათი ბრალი როდია, რომ იმპერი- ის კანონმდებლობა იყო დამნაშა- ვედ ლიბერალური იმთ მიმართ, ვინც ემზადებოდა გაენადგურებ- ბინა „რუსეთი, რომელიც ჩვენ

დავკარგეთ“. ყველა რევოლუციონერი მიიღებს „სა- ბავშვო“ სასჯელებს, ადვილად გამოიქცევა გადა- სახლებიდან, რასაც ჩვენ არაერთხელ დავინახავთ სტა- ლინის მაგალითზე. ხოლო როდესაც ის ქვეყნის სათა- ვეში ჩადგება, ანტისახელმწიფოებრივი ძალები მი- იღებენ სრულიად სხვა სასჯელებს და სტალინური გა- დასახლებიდან გაქცევას ვერ შეძლებს ვერც ერთი სე- რიოზული სახელმწიფო დამნაშავე. „გაქცევიან“ მხოლოდ საიქიო ქვეყანაში. მაგრამ ეს ყოველივე რომ მომხდარიყო, პოლიციას 1901 წელს უნდა მოეწყო ჩხრეკა გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, სადაც ცხოვ- რობდა და მუშაობდა სტალინი.

ამ ჩხრეკის შემდეგ სტალინი არალეგალურ მდგო- მარეობაზე გადავიდა. ის პროფესიონალი რევოლუცი- ონური ხდება, ესე იგი ადამიანი, ვისთვისაც თავისი ქვეყნის ხელისუფლებასთან ბრძოლა პროფესიად იქ- ცევა... ობსერვატორიაში მუშაობა მისთვის უკანასკ- ნელი სამუშაო ხდება მანამდე, სანამ 1917 წლის ოქტომ- ბერში ის არ შევა პირველ საბჭოთა მთავრობაში.

ტყუილად როდი ეძებენ სტალინს. მისი მეტად აქ- ტიური მონაწილეობით 1901 წლის სექტემბრიდან იწყებს გამოსვლას „ბრძოლა“ – პირველი არალეგა- ლური ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, ლენინური „ისკრის“ ანალოგი. სტალინი წერს მონი- ნავე სტატიებს. სწორედ ამ პუბლიკაციებში იწრთობა და იხვეწება სტალინის გამოსვლებისა და პუბლიკა- ციების სახელგანთქმული სტილი – მარტივი და ნა- თელი. 1901 წლის 11 ნოემბერს გაიმართა თბილისის სო- ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელზეც აირჩიეს რსდმპ თბილისის კომიტეტი. მას- ში აირჩიეს სტალინიც, მაგრამ თბილისში ის დიდხანს არ დარჩენილა.

თარგმნა ზურაბ ლომიძე

(ბაზრქმეზა იმწება)

ქართლის მეფენი

დავით XI, დაუდ-ხანი

შუათანა ძე მეფე ლუარსაბ I-ისა, მომდევნო ძმა სვიმონ I-ისა, ქართლის მეფე, ანუ ხანი 1569-1578 წლებში. მთელი სიცოცხლე ძმას მეფე სვიმონს ემრძოდა და ეტოქებოდა. ირანელთა მისამხრობად გამუსულმანდა, სახელად დაუდ-ხანი დაირქვა, სპარსეთს სამსახურში ჩადგა. სპარსელებმა ტფილისის და ქვემო ქართლის „ხანობა“ უბოძეს. როცა კი სვიმონთან შეშმა გაბედა, ყოველთვის დამარცხდა. ბოლოს ფარცხისის ბრძოლაში, ყორღანაშვილის ღალატის მეოხებით სპარსელებმა სვიმონი დაატყვევეს და ალაშუთის ციხეში ჩამწყვდიეს. ამრიგად დაუდ-ხანს გზა გაეხსნა. რამდენი ხანიც სვიმონი ციხეში იყო გამოკეტილი, იმდენი ხანი იმეფა თუ „იხანა“ დაუდ-ხანმა – 9 წელიწადი (1569-1578 წ.წ.), მთელი ამ წლების განმავლობაში წუთით არ ჰქონია მოსვენება, ქართველები განუწყვეტელი ემრძოდნენ გადაჭიმულ ხანს. ამ სამამულო ბრძოლას სათავეში ედგა ქვემო ქართლის პატრონი საჩინო მარათაშვილი, რომელმაც საკუთარი ხელით გადაჩეხა გელაყარის კულდებზე სვიმონ მეფის მოღალატე ყორღანაშვილი.



1578წ. ოსმალეთის სერასქირი ლალა მუსტაფა ფაშა წამოემართა საქართველოში დიდძალი მხედრობით სპარსეთისთვის საქართველოს და სრულიად ამიერკავკასიის წასართმევად. სამცხე დაიჭირა და ტფილისისკენ წამოვიდა. დაუდ-ხანმა ტფილისი ხანძარს მისცა, თვითონ კი ლორეს გაიქცა. ლალა ფაშა ტფილისში შემოვიდა, იქ ფაშა დასვა და მთელი ქართლი საფაშოდ გამოაცხადა, „ქართლის საფაშოს“ ყოველწლიურად სტამბოლის ხაზინისთვის ერთი მილიონი ახჩა უნდა გადაეხადა. ამასობაში დაუდ-ხანი ოსმალეთში გაიქცა და ხელმეორედ გაათათრდა: სპარსული შიიტობა ოსმალური სუნიტობით შეცვალა. სამაგიეროდ ორი საფაშო მიიღო სამმართველოდ და „საზრდელად“ ოსმალეთის ფაღიმაჰისკენ. „გასართობი“ მოიძია: დაჯდა და არაბული კარაბადინებისგან ქართული სამკურნალო წიგნი („იადიგარ დაუდი“) შეადგინა. აღესრულა და მიწას მიეგზარა იქვე, ოსმალეთში 1588 წელს. დარჩა ორი ძე: მაგრატი (მომავალი მაგრატი ხანი) და ხოსრო (ქაიხოსრო) – მომავალი როსტომ მეფე (ხანი), რომელიც წავიყვანილი გლეხის ქალისგან შეეძინა.

გაგრძელება. დასაწყისი №. №236, 241 (2016), №2, 8, 20-21, 33, 67, 74-75.

გიორგი X

სიმონ I-ის ვაჟი, ქართლის მეფე 1601-1606 წლებში. მამას მხარეში ედგა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა მამის დატყვევება შეიტყო, მტერს დაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია. ბევრი ეცადა მის გამოხსნას, სტამბოლში შეიღებოდა კი გაგზავნა მძევლებად, დიდძალი ქრთამიც გაგზავნა, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. 1601 წ. გვირგვინი დაიდგა. სპარსეთ-ოსმალეთს შორის ომში შაჰ-აბასის მხარეს იბრძოდა. შაჰმა მასაც და კახეთის მეფე ალექსანდრე III-საც ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ, გიორგი X-ეს დებედეს ხეობა წაართვა, ალექსანდრეს – კაკ-ელისენი და მალე ორი პროვინციაში უცხო, თურქმანული ტომები ჩაასახლა. ამ პერიოდში ურთიერთობა გაიძა ქართლსა და რუსეთს შორის, მეფე ბორის გოდუნოვის ვაჟს თედორეს ცოლად უნდა შეერთო გიორგი X-ის ასული ელენე. მაგრამ რუსეთში ატეხილმა არეულობამ და პოლონეთ-შვედეთის ინტერვენციამ რუსეთს ქართლი სრულად დაავიწყა. მალე, 1606 წელს, მეჭვინისხეობაში ყოფნისას გიორგი მე-

ლოს დაიყოლიეს, ცოლსაც გაჰყვარდა და ცოლისძმაც მოეკლა. სააკაძემ სიკვდილს ძლიერ გაასწრო და ოჯახით სპარსეთს გადაიხვეწა. 1614 წელს შაჰი დიდძალი მხედრობით წამოემართა საქართველოს ამოსაძიკვად. კახეთიდან დაიწყო. თეიმურაზ მეფისგან შეიღებოდა და დედა მძევლებად აიყვანა. თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთში გადაიხვეწნენ. შაჰმა კახეთი სასტიკად აიკლო, 80 000 კახელი ირანს გადაასახლა. კახეთიდან ქართლში გადმინაცვლა, იქიდან გიორგი იმერეთს დაუდევს ლუარსაბისა და თეიმურაზის გამოგზავნა მოსთხოვა. მაგრამ გიორგიმ სტუმრების გაცემამდე უარი შემოუთვალა. მალე ლუარსაბმა თვითონ გადაწყვიტა შაჰს ხლებოდა, გრძობდა, თუ არ მივალ, მთელს ჩემს სამეფოს იავარკოცსო. შაჰმა იგი სპარსეთს წაიყვანა, იქ ქრისტიანობაზე უარის თქმა მოსთხოვა. ლუარსაბმა სასტიკი უარი განაცხადა, იგი ციხეში ჩააგდეს, მერე კი მშვილდის საშლით მოახრჩვეს. ეს 1622 წლის გაზაფხულზე მოხდა. წამებული მეფე ლუარსაბ II ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.



ჩვენი მირონსახეული სელმეიფანი

ფეს თათლის ჭამისას ფუტკარი ჩაჰყოლია, შიგნიდან დაუკვნიდა, თავ-პირი დასიგებია და მომკვდარა. იმასაც ამბობდნენ, შაჰ-აბასმა მოაწამლინაო.

ლუარსაბ II

გიორგი X-ის ძე, ქართლის მეფე 1606-1614 წ.წ. 1607 წელს შაჰმა ცოლად შეირთო ლუარსაბის და ლელა-თინათინი. 1609 წ. ტიშისკართან ბრძოლაში ოსმალეთისა და ყირიმელ თათართა განადგურებისას, ჭაბუკი ლუარსაბი გმირულად იბრძოდა გიორგი სააკაძესთან ერთად. 1611 წ. ლუარსაბმა ცოლად შეირთო თავისი უახლოესი კაცის გიორგი სააკაძის და. მეფესთან დაახლოებულ თავადთა შადიმან მარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის მეთაურობით ფეოდალური არისტოკრატია არ შეურყვია „მდაბიო სააკაძის“ ოჯახის ეგზომ აღზევებას და მეფე ბოლოს და ბო-

ბაგრატ VII, ბაგრატი ხანი

ქართლის მეფე (ხანი) 1615-1619 წლებში. უფროსი ძე დავით XI-ისა (დაუდ ხანისა), გაიზარდა სპარსეთში, როგორც მაჰმადიანი მირზა (მატონიშვილი). 1615 წელს შაჰ აბასმა ქართლის გამგებლად, ანუ ქართლის ვილაიეთის ხანად დასვა ბაგრატი. მისი მეფობა თუ ხანობა უფერული და უჩინარი იყო. არაფერში არ ერეოდა, არც არავინ არაფერს ჰკითხავდა. ბუნებით უნდოდა და მხდალი იყო, ოღონდ დიდად უყვარდა სიბრძნე, მეცნიერება და ხელოვნება. თბილისში მოსვლას ვერ შედგა და სამეფო რეზიდენციად ბოლნისი ჰქონდა. სადაც აღესრულა კიდევ 1619 წელს. მისი ასული ერთ-ერთ ცოლად ჰყავდა შაჰ აბასს.

სვიმონ II, სვიმონ-ხანი

ბაგრატ VII-ის (ბაგრატ ხანის) ძე, ყრმობიდან მაჰმადიანად აღიზარდა სპარსეთში, შაჰ აბასმა ქართლის „ხანად“ დანიშნა 1619 წელს, მამამისის სიკვდილის შემდეგ, ქართველთაგან მის გამგებლობას ანგარიშს არავინ არ უწევდა. შაჰმა „ვექილად“ და „მრჩეულად“ გიორგი სააკაძე დაუნიშნა. 1625 წელს შაჰ აბასმა სვიმონ ხანს თავისი შვილიშვილი (ისახან ყორჩიბაშის ასული) ჯაჰან-მანუ მეფეში შერთო ცოლად და ვითომ მაყრონად 30 000-იანი ირანული არმიაც გამოაყოლა საქართველოში, მაგრამ ის „მაყრონი“ ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით ერთიანად ამოწყვიტეს მარტყოფის ველზე. იმავე 1625 წელს, მარაბდის ბრძოლის შემდეგ, გამარჯვებულმა შაჰმა ტფილისიდან გაქცეული სვიმონ ხანი ისევ ტფილისში დააბრუნა. 1630 წელს, თეიმურაზ I-ის წაქეზებით, ზურაბ ერისთავმა ცხვილის ციხეში მიწვეული სვიმონ ხანი მძინარე მოაკვლევინა სიძეს გიორგი ჩერქეზს.

როსტომი, როსტომა ხანი

დავით XI-ის (დაუდ ხანის) ძე (სპარსეთში თანწყვანილი წავიყვანილი გლეხის ქალისგან), ქართლის მეფე 1632-1658 წლებში. გამეფებამდე მისი სახელი ქართულად იყო ქაიხოსრო, სპარსულად – ხოსრო-მირზა. ჭაბუკობიდანვე გამოიჩინა ნიჭით, ჭკუითა და სიმამაცით. შაჰ აბასმა 1618 წ. სატახტო ქალაქ ისპაჰანის ტარულად (მოურავად) დანიშნა. 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში სპარსული არმიის მარჯვენა ფლანგს სარდლობდა. იმავე წელს ქსანზე გამართულ ბრძოლაში, სააკაძისგან გარშემორტყმული ალყა გაარღვია და



სპარსელთა ჯარის ერთი ნაწილი სრული კატასტროფისგან იხსნა. იმავე წელს შაჰ აბასმა ისფაჰანის ტარულაში შეთავსებით ლულაშა, ანუ ყულის ჯარის მთავარსარდლად (ყულარაღასად) დანიშნა. მომავლად შაჰ აბასმა მას ანდერძით მიანდო თავისი შვილიშვილის საამ მირზას შაჰის ტახტზე აყვანა. ანდერძი შეუსრულა. ახალ შაჰს ანდერძითვე სახელი შეუცვალა და სეფი შაჰი ეწოდა (სეფი შაჰის დედაცა და სეფი ქართველი ქალები იყვნენ). 1632 წელს, 67 წლის ასაკში ეღიროსა საოცნებო ქართლის ხელმწიფობას. დაარქვეს როსტომი, ანუ როსტომ ხანი, ეწოდა „ვალი“. მალე ყველა დარწმუნდა, რომ როსტომ მეფე ქართლის მოსამეფებლად იყო მოსული. სულით ქრისტიანი აღმოჩნდა, ქართველობისთვის თავგამოდებული მებრძოლი. მის დროს ქართველებს მხოლოდ გარკვეული ხარკი და საჭიროების ჟამს სამხედრო წვევა დაეკისრა. მშვიდობიანი ცხოვრების, შრომის, აღმშენებლობის თავგადასავალი იყო. მაჰმადის სჯულის მიღება ნებაყოფლობითი გახლდათ. „თათარი მეფე“ დანგრეულ ქართულ სალოცავებს აღადგენდა და ახალ ეკლესიებს აშენებდა. სვეტიცხოველს ახალი გუმბათი აღუმართა, დანგრეული გრემი ააშენა და ააღორძინა, ეკლესიებს შესაწირავს სწირავდა. წირვა-ლოცვებს ესწრებოდა. ქართლსა და კახეთში 71 ამოწყვეტილი სოფელი ხელახლა მოაშენა, აშენებდა ციხე-სიმაგრეებს, ქარვასლებს, წყალსადენებს, ხიდებს, სასახლეებს. მიმოწერას ქართულ ენაზე აწარმოებდა. 1648 წელს ქართლის მეფე როსტომსა და კახეთის მეფე თეიმურაზს შორის თინათთან სისხლისმღვრელი ომი მოხდა (აქ ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა თეიმურაზის იმ დროს უკვე ერთადერთი ძე დათუნა ბატონიშვილი). მძიმედ დამარცხებული თეიმურაზი მისმა თავადებმა მიატოვეს და როსტომს მიუვიდნენ. მათი ღალატით აღმოცენებულმა როსტომმა ისინი უკან გაყარა. თეიმურაზი იმერეთს წავიდა, იქიდან კი – რუსეთს. კახეთი კი როსტომმა ქართლს შეუერთა და იმის აღმშენებლობა-აღორძინებასაც შეუდგა (გრემი მაშინ აღადგინა). ცოლი გვიან, 68 წლისამ შეერთო, მაგრამ ახალგაზრდა ქეთევან ამაშიშვილი ერთ თვეში მოუკვდა, მეორედ მანუჩარ დადიანის ასული მარიაში, სვიმონ გურიელის ქვრივი შეერთო. მემკვიდრედ დიდი რჩევის შემდეგ გამოაცხადა ვახტანგი, ძე მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრანბატონისა, შვილიშვილი გიორგი სააკაძისა (თეიმურაზ მუხრანბატონს ცოლად გიორგი სააკაძის ასული ჰყავდა). შაჰის კარზე ქართლის მეფედ დასამტკიცებლად გაგზავნილ ვახტანგს თათრის რჯული მიაღებინეს და „შაჰნავაზი“ დაარქვეს. როსტომი 1658 წელს მიიყვალა. მისი ტარულა გაგრძელდა 40 წელი, ყულარაღასობა – 33 წელი, ქართლში მეფობა – 26 წელი. წაასვენეს ირანს, ქალაქ ყუმს და დიდი შაჰ-აბასის გვერდით დაკრძალეს.

ამოკრიბა ალექსი ასლანიშვილი
(გავრძელება იქნება)

ლავიონარი

ფავორიტი უმედლოდ დარჩა

კალათბურთში რუსეთის სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის მოგების შემდეგ „ნოვოსიბირსკი“, სადაც ქართველი კალათბურთელი აკაკი დვალისძე ითამაშობს, პირველ ადგილზე გასვლის ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლება.

ფავორიტად შერაცხილი ციმბირელები პლეი ოფის მეოთხედფინალური სერიის დაძლევის შემდეგ ნახევარფინალში მოულოდნელად „ირკუტსკთან“ დამარცხდნენ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

მესამე ადგილისთვის ბრძოლა „ნოვოსიბირსკმა“ ვლადივოსტოკის „სპარტაკ პრიმორიესთან“ 1:3 წააგო და უმედლოდ დარჩა.

ვიტალი ჯაფარიძე



БК Новосибирск | www.bc-novosibirsk.ru | 2017

ფახუბრთი

არგენტინელები ახალ მწვრთნელს შეუთანხმდნენ

არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი კლაუდიო ტაპია აცხადებს, რომ ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი უკვე შერჩეულია. მართალია, არგენტინელი ფეხბურთის მმართველი მისი დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს, თუმცა, ადგილობრივი მედია დარწმუნებულია, რომ იგი „სევილიას“ ამჟამინდელი თავაკაცი ხორხე სამპაოლია, რომელთან მოლაპარაკების მიმდინარეობის ფაქტი თავად ტაპიამ ცოტა ხნის წინათ დაადასტურა.

„გადანწყვეტილება მიღებულია და ოფიციალურად შესაფერის დროს გამოცხადდება. ყველა მხარეს პატივი უნდა ვცეთ, ამიტომ, მოდიო, მშვიდად დაველოდოთ“, – განუცხადა ჟურნალისტებს ტაპიამ.

არგენტინის ეროვნულ ნაკრებს გასული წლის აგვისტოდან ედგარდო ბაუსა წვრთნიდა, რომელიც არადამაკმაყოფილებული შედეგების გამო თანამდებობიდან ახლახან დაითხოვეს.

რაც შეეხება სამპაოლის, როგორც ირკვევა, „სევილიასა“ და 57 წლის არგენტინელ სპეციალისტს შორის არსებული კონტრაქტის გასაუქმებლად, არგენტინის საფეხბურთო ასოციაციას ესპანური კლუბისთვის 1,5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

გიორგი შოთაძე



რაზვი

ელიტური ლიგა?

სამხრეთი აზრები, ინგლისი და უელსი ერთობლივი საკლუბო ტურნირის შექმნის იდეის ირგვლის უკვე მოლაპარაკებებს მართავენ. ეს შეჯიბრება ანგლო-უელსურ თასს ჩაანაცვლებს. მასში მონაწილეობას ინგლისის პრემიერლიგის გუნდები, პრო 12-ის უელსური ფრანშიზები და ქარის თასის წარმომადგენლები მიიღებენ.

ავივა პრემიერლიგის გენერალურმა დირექტორმა მარკ მაკკავერტიმ ეს ინფორმაცია დაადასტურა.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ოთხი ფაქტორი: დასწრებადობა, აუდიტორიის ზრდა, ტურნირის მომხიბვლელობა და ფინანსური მდგრადობა. ჩემი აზრით, სამხრეთაფრიკული გუნდების ჩართვა ტურნირისადმი ინტერესს გაზრდის. დისკუსია მიმდინარეობს და ჩვენ უკვე დეტალების განხილვის სტადიაში ვართ“, – უთხრა მაკკავერტიმ „ბიბისი სპორტს“.

თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, შეჯიბრება სტარტს 2020 წელს აიღებს.

კობა კოხანიაძე




სახელი

ერთხელ გითქვამს და აღარ გაიხეობო...

სტარტში ყველაზე ბოლოს მიიბრინა. პირთამდე სახე ტრიბუნების გუგუნის ბუნდოვნად ესმოდა. აუზში გადაეშვა თუ არა, თევზივით გასრიდა წყლის ზედაპირზე. ლამის კორპუსით გაუსწრო მეტოქეებს. ფინიშთანაც პირველი იყო. 16 წლის ქართველმა ქალიშვილმა თინათინ ლეკვეიშვილმა 0.00,01-ით გაუსწრო ცნობილ უნგრელ მოცურავე ანდრეა დიარმარტს და ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ეს იყო 1970 წელს. ბარსელონამ მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. თინათინ ლეკვეიშვილმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში 1.07,8-ით ოქროს მედალი დაიმსახურა და ტურნირის რეკორდიც დაამყარა. მეორე-მესამე ადგილებზე ანდრეა დიარმარტი (1.07,9) და პოლანდიელი იაკობი ბუტიერი (1.08,5) გავიდნენ. 200 მეტრზე ამავე დისციპლინაში დიარმარტმა გაიმარჯვა (2.25,5), მეორე ადგილი ბარბარა ხოფმისტიერს (გდრ, 2.26,6) ერგო, ქართველი მოცურავე კი ბრინჯაოს მედალი (2.27,1) დაკმაყოფილდა, თუმცა, იმავე ჩემპიონატზე მედელების კოლექცია მაინც შეივსო – 4X100 მეტრზე ესტაფეტაში მეორე ადგილი დაიკავა.

მქონდა დასასვენებლად, არხინად ვიყავი. ამ დროს ვლადიმერ ბურემ დამიყვინა, შენები (გაცურვის მონაწილეები) სტარტზე მიდიან, რალას უცდით. ამ დროს აფორიაქებული მწვრთნელებიც მოვარდნენ. არ მახსოვს, როგორ გავიბრინე მანძილი სტარტამდე. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. გუნდში ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და მეშინოდა, წაგება ჩემთვის არ დაებრალბინათ. წყალში გადავეშევი თუ არა, ისე მძლავრად გავცურე პირველი ორმოცდაათი მეტრი, რომ უახლოეს მდევარს მთელი კორპუსით გაუფსნარი. დარჩენილ დისტანციაზე კი ვიგრძენი, როგორ მელვოდა ძალა, მეტოქეებიც მეწეოდნენ. თავს შევეუძახე და ბოლო-ბოლო 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვე. 200 მეტრ დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მერგო, ხოლო 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდი.



დაუნაზული ტანმოპარჯი

– ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი, – ღიმილით იგონებს ვეტერანი მოცურავე. – ახლობლების რჩევით, დედამ თავის ბიცილასთან – თინა ქოიავასთან მიმიყვანა, რომელიც ტანმოპარჯის მწვრთნელად მუშაობდა. სამი თვის შემდეგ მან ჩემებს გამოუცხადა, თინათინს (შინაურები ასე ეძახდნენ) ტანმოპარჯიში არ დადგებო. ქალბატონ თინა ქოიავას ვაჟმა, იურიმ, რომელსაც ძალიან ვუყვარდი, ცურვის სექციაში მივიყვანოთ, თქვა. ეს სახეობა, ალბათ, იმიტომ შეარჩია, რომ თავად წყალბურთელობა „დინამოს“ საცურაოშიც ორ ნაბიჯზე – მაშინდელ ტელმანის ქუჩაზე ვცხოვრობდი. მარგალიტა ტატიშვილს ჩააბარეს ჩემი თავი. ოთხი თვე საჭყუმბალოდან არ ამოვსულვარ. ერთხელ გავცივი და გავყვითლები გამიცდა. მშობლებმა აუზს ჩამომაშორეს.

ერთ დღეს ქუჩაში ჩემი მწვრთნელი შეგცხვდა. ქალბატონმა მარგალიტამ ბებია და იყოლია და დედისგან უჩუმრად მთელი წელიწადი ვიარე ცურვაზე. მაშინ 10 წლის ვიყავი. ორი წლის შემდეგ საქართველოს პირველობა მოვიგე უფროსებში, ხოლო ლენინგრადში თანატოლებს ვაჯობე საკავშირო პირველობაზე.

ყველაზე დიდი სიხარული 1968 წელს განვიცადე წახკამორში. 14 წლის გოგონამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოვიგე გულაღმა ცურვაში 100 და 200 მეტრ დისტანციებზე, თანაც საკავშირო რეკორდებით. ამგვარი წარმატება მომდევნო წლებში კიდევ ზედიზედ ხუთჯერ გავიმეორე. 1968 წელსვე საკავშირო ნაკრებში მიმიწვიეს და მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ვიასპარეხე.

1968-1972 წლებში თინათინ ლეკვეიშვილმა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში შეიდი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა, რვაჯერ გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი, 1969 და 1971 წლებში ბუდაპეშტსა და ბრატისლავაში ევროპის თასი მოიგო, 16-ჯერ დაამყარა საქართველოს რეკორდი.

მასრი გაურთხილება

„1970 წელი ჩემთვის დაუწინაურია: ჯერ საკავშირო ჩემპიონატზე ორი „ოქრო“ ავიდე, შემდეგ საბჭოთა კავშირ-გდრ-ის სამატრო შეხვედრაზე გავიმარჯვე. ბოლოს ბარსელონაში ამოვყავი თავი, ევროპის ჩემპიონატზე. წინასწარი გაცურვისას ფინალში მეშვიდე შედეგით შევედი. გადამწყვეტი პაექრობის წინ მწვრთნელებისგან დაიმედეხული, რომ საკამო დრო

ჩემსა და მეორე-მესამე ნომრებს შორის დიდი სხვაობა იყო ყოველთვის, ამიტომ ნაკრების მწვრთნელები ვერ მელვოდნენ. 1970 წელს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, უკვე სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ცურვისთვის თავის დაწებებას ვაპირებდი, მაგრამ მიუნხენის ოლიმპიადამდე ამის უფლება არ მომცეს, მაშინ სპორტმენზე როდი იყო ყველაფერი დამოკიდებული. მქონდა ერთი პატარა ინტენცი, ოღონდ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტთან 1968 წელს. მეხიკოს ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე საწვრთნელ ბაზაზე მოვიდა ის კაცი. ინტერვიუ სურდა ჩემთან. როცა მკითხა, მეხიკოში რას აპირებო, დაუფიქრებლად ვუპასუხე: „прославить Грузию“. კორესპონდენტმა მაშინვე გამორთო მიკროფონი, საკმაოდ სახელომღუსელმა მკაცრად გამაფრთხილა: ეს ერთხელ გითქვამს და მეორედ აღარ გაიმეორო, გახსოვდეს, რომ შენ საბჭოთა კავშირის მოქალაქე ხარო. მაშინ კი შემიშინდა, არ დამტკოვონ-მეთქი. საბუნდუნოდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა...

1973 წელს თინათინ ლეკვეიშვილმა საკავშირო ჩემპიონატზე ბოლო ოქროს მედალი მოიხვეჭა. მერე ცისფერი ბილიკიდან „გადაუხვია“ და ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა „სამოქალაქო პროფესიის“ ათვისებას. აქაც იყოჩაღა, როგორც კარგმა ექიმმა, ონკოგინეოლოგმა. წლების განმავლობაში იგი მზრუნველობასა და სიყვარულს არ აკლებდა პაციენტებს. გულისხმიერ მკურნალსაც არასდროს ჰკლებია ხალხის სიყვარული.

ვაჟა დანელია

ინტერნაციონალი

ლოპესანთი ჯენიფერას დიდი ორბანოების აგება

არა, კი ბერდება ეს ჩვენი ლოპესანთი ჯენიფერა და ძველებურად აღარ უციალებს თვალები, მაგრამ ჯენიფერი ისეთი ქალი არაა, ძველი გუნება-განწყობილებები და ჩვეულებები უტბად დაივიწყოს და მისი ტრულიც თუ ისეთივე დიდაა, როგორც ჩამოსაჯდომი ალაგი, აი, მაგან უნდა სთქოს, ორგანოებს მე ვატარებ, თუ ვატარებო.

ჯენიფერ ლოპესს ნამეტნავად უყ-

ვარს ამერიკული ფეხბურთი და არაერთხელ დაულანდავთ ეს ცნობილი მსახიობი პირზე ცხაურაფარებულთა თამაშებზე, მაგრამ ამ ბოლო დროს, რამდენიმე წელია ლოპესის სპორტისადმი ტრფიალების არაფერი გავცივია და ბევრმა ისიც კი თქვა, რაღა დროს ამის სპორტია, ახლა ის დროა, ფუშფუშა კაბა ჩაიცვას და ხელში მარაო დაიჭიროსო.



მაგრამ, როგორც დასაწყისშიც ვთქვით, ლოპესანთი ჯენიფერა თურმე არაფერს იცინევს. ამას წინათ ჯენიფერი ადრე პოპულარულ, ახლა კი ინვალიდის ეტლში ჩამჯდარ მავან ამერიკელ მობურთალს სახლში ეწვია, მოიკითხა, ჩაკონა და საჩუქრებითაც გაუხარა ბენიფი გული. ასეთი დედაკაცი რომ სახლში მოგადგება, მოდი და ქოჩორა ქათამს ფეხაპლაკვით ნუ წამოაწვენ კუნძზე...

როსტომ რაჭველიშვილი

კოლხის ნიხნი

...გვეღრუბ, უფალო, შეგვაკლავინა ეს!

ვაჟა დანელიას, შესანიშნავ ჟურნალისტს, პუბლიცისტს, პედაგოგს, სპორტის თემატიკაზე გამოცემული 14 ნიხნითა და პერიოდულ პრესაში ყოველდღიურად გამოქვეყნებული სტატიებით ვიცნობდი. ბრწყინვალე ქართული დაწერილი რეპორტაჟები სხვა ჩვენი კოლეგების ნაშრომებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ყველა მათგანი პატარა ნოველასავით და ლიტერატურული ჩანახატებით იკითხებოდა. შემდგომ დავემეგობრდი და უკვე ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს „საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც მართლაც „მორბენალი სტრიქონით“ გამოჩნდებოდა ხან ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ, ხანაც ქვემო ქართლში დასახლებულ ეროვნულ უმცირესობათა პატარებისთვის ქართული ენის შესასწავლად ჩასული. ასე გრძელდებოდა წლობით – ზაფხულსა და ზამთარში, გაჭირვების პერიოდში, ომსა და არეულობაში, „ვაჟა მასწავლებელი“ ყველასაგან გამორჩეულად უყვარდათ არასრულწლოვან პატიმრებსა თუ ქართულს დანაშაულებს სომეხ და აზერბაიჯანელ მოსწავლეებს, ენობრივად მას, სჯეროდათ მისი. უნდა გენახათ გახარებული, თვალეზრებელი ვაჟა, როდესაც მისმა მომზადებულმა რამდენიმე არასრულწლოვანმა პატიმარმა უმაღლეს სასწავლებელში ქართულ ენაში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, ისინი სტუდენტები გახდნენ და ეს მისი დამსახურება იყო.



ვაჟა დანელია

გვეღრუბ, უფალო!



შიგადაშიგ თურმე ლექსებსაც წერდა ოცდახუთამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სვედიან, პატრიოტულ, ლირიკულ, მეგრულ-ქართულს. გაუბედა და პატარა ნიგანდაც გამოსცა, რომელსაც „შემოდგომიდან გაზაფხულამდე“ ჰქვია. ბოლო ხანს სპორტულ თემატიკაზე მოტანილ რეპორტაჟებს ნოველა „დედა“ მოაყოლა. ნავიკითხე, მართლაც, შემძრა ორიგინალობით, სისადავითა და სინამდვილით. ვაჟასთვის ხომ დედა მართლაც ღმერთია, სენაკის რაიონის სოფელ ნოსონში შეიღებულ დარდიან გაჭაღარაგებულ, სანდომიანი, მშრომელი კოლხი ქალბატონი. სწორედ ეს პატარა ნოველა, რომელიც შემდგომ რუსულ ენაზე ქალბატონმა სანდრა ვერელმა თარგმნა, ბერლინში ქართული ლიტერატურის თაყვანისმცემელთა და სხვადასხვა ქვეყნის კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა, სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა.

„დედას“ „დედამოკა“ და „კონია“ მოჰყვა. ისევ სვედიანი, გულშიჩამწვდომი და ამაღლებელი, ერთი – ჩვენი ტანჯული ქვეყნის უსსოვარი დროიდან ლე-

გენდად შემორჩენილი, მეორე – თანამედროვე, არანაკლებ სატკივრად ქცეული, მშობლისა და მისი შვილ-ძირის ურთიერთდამოკიდებულებით. მიტოვებული სოფელი, მიტოვებული მოხუცი მამა, ქალაქად გახიზნული მისი ნაგრაბი და აღდგომა დღეს სრულიად უპატრონოდ, სასაფლაოზე შემთხვევით შეხვედრილ უცხო ახალგაზრდასთან ჩაბარებული აღსარება, მისი ბოლო წუთები. ეს არა მარტო ვაჟას საფიქრალი, არამედ ყველა ჩვენგანის სატკივარია. როგორც ყოველთვის, ავტორი შეუბრალებელია მკითხველის მიმართ, შეუბრალებელი კარგი გაგებით, შეუბრალებელი იმით, რომ იცის როდის დასვენს ნერტილი, ნერტილი და მორჩა... მკითხველს გიტოვებს საფიქრალს – მე ხომ დავწერე, ჩემი წილი ვიდარდე, ახლა შენ, შენი გონებით გააგრძელე, არჩევანი შენზეა.

და ვაჟა დანელიას გიტოვებს ასპარეზს საფიქრალად, განსაჯვლად. სულ ორიოდე დღეა, რაც მწერლისა და პუბლიცისტის ახალი კრებულის გამოვიდა – „გვედრებ, უფალო!“ აქ კი უამრავი ჩანახატი, ნოველა და ლექსია თავმოყრილი თვე კრებულში შეტანილ პოეზიასთან ერთად.

ნაკითხავ მოთხრობას „როცა ობლობა სანატრელია“ და მიხვდებით, თუ როგორი სიყვარული დატოვა მწერალმა არასრულწლოვანთა კოლონიაში. კითხულობ „სად დაიკარგა“, „შუშინისკის“ შესავალს? „იბიბი-ხანუმს“, „ჩამერლანის საძვალეს“ და თვალწინ დაგიდგება, როგორ კითხულობს ცივ ზამთარში, გაყინული სკოლის პანანკინტელა საკლასო ოთახში არაქართული ბავშვებისთვის ქართული ენის ისტორიას, რათა შეავაროს მათ იმ მინის მაღლი, რომელზეც ცხოვრობენ. კითხულობ „ყურმოკრულ ამბებს“ და თბილისიდან სენაკამდე გზას გაკიდებულ ვაჟას ხედავ, რომელიც დედასთან და დასთან მიიჩქარის, გზადაგზაკი ქართული იუმორით ნასაზრდოებ პატარა ნკვიურტებს ინიშნავს, რომ ლამაზ ჩანახატებად აქციოს.

ვაჟას გმირები ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, მათ ყოველდღე ვხვდებით, ხან ვესაუბრებით კიდევ, ხან თვალს ვარიდებთ, ვაჟა კი მათი ცხოვრებით ცხოვრობს, მათსავით უჭირს, მათსავით დარდობს, რათა გათავისებულ სევდით უფრო შექმლოს მათს სულში ჩახედვა და მცირედი, სულ მცირედი დახმარების განევა, რადგან ეს იმედს ჩაუსახავს მათ.

ჩვენ... მოდი ჩვენც ვაჟას თვალებითა და გულით დავინახოთ ჩვენი ყოველდღიური, „გვედრებ, უფალო“, „შეგვაძლებინე ეს!

ვაჟა ვაჟაძე



საქართველო რეგიონის ალბანია!

იმ მცირე და საშუალო ბიზნესებს, რომლებსაც გავრდის პოტენციალი აქვს, თუმცა ამისთვის საჭირო ინვესტიციების მოძიებას ვერ ახერხებს, ახლად შექმნილი ამერიკული საინვესტიციო ფონდი „გაზელ ფაინანსი“ დაეხმარება.

„გაზელ ფაინანსი“ საქართველოში 25 მილიონ დოლარს ჩადას! კომერსიულ ბანკებს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა

რო ფონდი ამ საინვესტიციო ფონდის აქციონერი გახდა.

„გაზელ ფაინანსი“ საქართველო რეგიონულ ცენტრად შეარჩია. ფონდის აზრით, ეს საქართველოში არა მხოლოდ ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ უცხოელი ინვესტორებისთვის ქვეყნის სანდობასაც გაზრდის; „ვეტიკრობ, ეს ნაბიჯი სხვა ინვესტორებს დაანახებს, რომ საქართველოში კარგი საინვესტიციო ფონია, რომ ქვეყანაში კარგი მარეგულირებელი გარემოა და ბიზნესის კეთება ადვილია“, – უთხრა „ამერიკის ხმას“ ჯერჯ ლიბერტიმა.

ფონდის სანყისი კაპიტალი 28 მილიონ დოლარია, საიდანაც 25 მილიონი საქართველოში, დანარჩენი კი სომხეთში მცირე და საშუალო ბიზნესებში ჩაიდება.

„გაზელი“ ეკონომიკური ტერმინია და ისეთ კომპანიას ნიშნავს, რომელიც წელიწადში 20 პროცენტით იზრდება, კარგი ტრანექტორია აქვს და ახალი შექმნილია“, – განაცხადა ჯერჯ ლიბერტიმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში. მისი თქმით, „განვითარებად და ასევე განვითარებულ ბაზრებში, ასეთ ბიზნესებს საინვესტიციო კაპიტალზე ხელი ადვილად არ მიუწვდება“.

„გაზელ ფაინანსი“ ბიზნესებს კაპიტალზე წვდომას გაუადვილებს. ფონდი საშუალოდ 5-წლიან სესხებს გასცემს და მისი ფინანსური ინსტრუმენტები და სესხის პირობები კომერციულ ბანკებთან შედარებით უფრო შეღავათიანი იქნება. ბიზნესებში ინვესტიციების ოდენობა კი 100 ათასიდან 1 მილიონ დოლარამდე იმერყევებს.

საინვესტიციო ფონდის ოპერაციების მმართველი ოფიცერი სტეფანი კომსას თქმით, საშუალო და მცირე ბიზნესს ბანკის სესხებზე წვდომა აქვს, „მაგრამ როცა კომპანიას გაზრდა უნდა, სად უნდა წავიდეს? ვინ ჩადებს მათში სარისკო კაპიტალს? ჩვენ ვნახეთ, რომ რეგიონში ეს ნიშა ასათვისებელია. ბანკები სესხის უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ითხოვენ საკმაოდ მაღალ გარანტიებს, ბიზნესის ღირებულების 100, ზოგჯერ 200 პროცენტს. ჩვენ მათგან განსხვავებით უფრო მეტ რისკზე შეგვიძლია წასვლა და ბიზნესთან რისკის გაზიარების მექანიზმი გვაქვს“.

ფონდის სანყისი კაპიტალის მოზიდვაში საქართველოც მონაწილეობდა. ამერიკაში საქართველოს ელჩის მოადგილე გიორგი ციკოლიას თქმით, „ამ ფონდის დაარსებაში და საქართველოში შემოსვლაში ძალიან დიდი როლი ეკუთვნის საპარტნიორო ფონდს და ზოგადად საქართველოს მთავრობას. ჩვენ პირველივე დღიდან მხარს ვუჭერდით ამ ინიციატივას. საერთო ჯამში საპარტნიო-

რეგიონულ ცენტრად შერჩევაში ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო დაეხმარა: „საქართველო რეგიონის ალბანია“, – თქვა სტეფანი კომსამ, – „ქვეყანამ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ბიზნეს გარემო დაეხვეწა. მე საქართველოში წარსულშიც მიმუშავია და ვიცი, რომ იქ კომპანიის შექმნა და ბიზნესის კეთება ნამდვილად ადვილია. არ არის რთული ბიუროკრატიული და საგადასახადო შეზღუდვები. ეს ჩვენ და ჩვენს პარტნიორებს საქართველოში საშუალებას მოგვცემს კონცენტრაცია ბიზნესის გაზრდაზე გავაკეთოთ“.

„გაზელ ფაინანსი“ ინვესტიციების მმართველ კომპანიად ჩამოყალიბებაში ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ევრაზიის ფონდმა“ დიდი როლი ითამაშა სანყის ეტაპზე ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციის შესრულებით.

ევრაზიის ფონდის პრეზიდენტი ჰორტონ ბიბი სენტერი ამბობს, რომ პროექტში „ევრაზიის ფონდმა“ საკუთარი ინვესტიცია ჩადო იმისთვის, რომ შეექმნა ფონდის მმართველი ორგანიზაცია, რომელიც საინვესტიციო კაპიტალს მოიპოვებდა. „მოსაზრებები ვართ, რომ ეს პროექტი წარმატებით განხორციელდება. ეს საქართველოსა და სომხეთის მიმართ ევრაზიის ფონდის გრძელვადიანი თანადგომის დასტურია, რადგან „გაზელ ფაინანსი“ წლების მანძილზე გააგრძელებს საქმიანობას“. ამჟამად „გაზელ ფაინანსის“ პარტნიორები არიან აშშ-ის მთავრობის საზღვარგარეთ ინვესტიციების კორპორაცია (ოპიკი), საქართველოს საპარტნიორო ფონდი და ორი ჰოლანდიური ფინანსური ინსტიტუტი.

„Radio Voice of America“ (აშშ)

ყველაზე გრძელი ხიდი საქართველოში

სამშენობლო გზების დეპარტამენტი ქობულეთის ზღვისპირა ზოლის განტვირთვისთვის, ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობას აგრძელებს. უწყების ინფორმაციით, პირველი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა და ამ ეტაპზე, მეორე – 18-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობს.

ქობულეთის შემოვლითი გზის მე-2 მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში, სულ 15 ხიდი აშენდება. მათ შორის არის ხიდები, რომელთა მშენებლობაც, ახალი MISS ტექნოლოგიით – ბურჯებზე მოძრავი სისტემის ყალიბის გამოყენებით ხორციელდება. ახალი ტექნოლოგიით მიმდინარეობს სოფ. საჩინოსთან, საქართველოში ყველაზე გრძელი სახიდ გადსასვლელის – ვიადუკის მშენებლობა, რომლის სიგრძე 1180 მეტრია.

პროექტს აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს და მისი ღირებულება 209 852 079.67 ლარია.





ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განსხვავებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემის სააგენტოს ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3 ელ-ფოსტა	Licenziabi2015@gmail.com
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღისეულის სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) გეოდეზიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მიერ ფართობზე წელიწადში ინტერული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმღაღრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განხორციელოს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორებაზე მდინარის მარჯვენა ნაპირის მხარეს მდებარე ტერიტორიის მიხედვით.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსარგებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღის სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარაიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დიდ ლიახვზე, „ლიახვის“ ქვემო-ბრემის საბადო, (კატეგორია C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 251 100 მ³).</p>
6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარაიანის მიმდებარე ტერიტორია
7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარაიანის მიმდებარე ტერიტორია
8 აუქციონის საწყისი ფასი	33 669 ლარი
9 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 366,9 ლარი
10 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	17 035 ლარი
11 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 მაისს დღის 18:00 საათზე
12 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 29 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 მაისს დღის 18:00 საათზე
13 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14 სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 2	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3 ელ-ფოსტა	Licenziabi2015@gmail.com
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღისეულის სარგებლობის პროექტის მიხედვით.</p> <p>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი და ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.</p> <p>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსარგებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღის სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების</p>

6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო (ჯაფარიძე) მიმდებარე ტერიტორია, „დედოფლისწყაროს“ კირქვის (ლორდის) საბადო (უბანი „საზაფხულო“), (კატეგორია - C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 105 700 მ ³).
8 აუქციონის საწყისი ფასი	14 811 ლარი
9 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 481,1 ლარი
10 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	7 606 ლარი
11 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 მაისს დღის 18:00 საათზე
12 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 29 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 მაისს დღის 18:00 საათზე
13 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14 სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 3	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3 ელ-ფოსტა	Licenziabi2015@gmail.com
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალაშქვლი მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმუშოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მოშობას და დაცვას მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადგენას;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განხორციელოს დამონტაჟებული და დალაშქვლი მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აგლით ან მის გარეშე;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შესაბამისად საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ადგენის საშუალება;</p> <p>ე) ლუქის დადგენას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასრულებით ახორციელებს სამისოდ უფლებამოსილი პირი;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჰაბურდილის თევზორთქლის მოწყობა.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ოზურგეთი, გურამიძის ქ. N25, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწარმო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 7 300 მ ³ /წელიწადში).
7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ოზურგეთი, გურამიძის ქ. N25
8 აუქციონის საწყისი ფასი	236 ლარი
9 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	23,6 ლარი
10 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	389 ლარი
11 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 1 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 მაისს დღის 18:00 საათზე
12 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 29 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 29 მაისს დღის 18:00 საათზე

მოგზაურობა რეალური და ვირტუალური

ნინო ჯავახიძე: მარტში ჩვენ გაქონდა ექსპორტის 30-პროცენტისანი ზრდა

აპრილის დამლევა, თბილისის სა-გამოფენო ცენტრი ექსპორტორჯია მე-19 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას მასპინძლობს, რომელიც 29 რიცხვამდე, სამ დღეს გაგრძელდება.

გამოფენის საზეიმო გახსნას გა-რემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშ-ვილი, მინისტრის მოადგილე ეკატე-რინე გრიგალავა და დაცული ტერი-ტორიების სააგენტოს თავმჯდომე-არის მოადგილე გიორგი ჩხეიძე და-ესწრნენ.

წლებანდელი ტრადიციული გა-მოფენის ფარგლებში უკვე მესამე წელია, ტარდება ტურისტული ფას-დაკლების ფესტივალი, რა დროსაც კვალიფიციური კონსულტანტების დახმარებით მსურველები სა-ზაფხულო შვებულებათა სეზონის მოახლოებისას მოგზაურობებისა და დასვენების წინასწარ დაგეგმვას, თა-ნაც საკმაოდ შედეგადად ფასებში შექ-ლებენ.

გამოფენასა და ტურისტულ ფესტი-ვალში მონაწილეობენ ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული, ასე-ვე ავიასააგენტოების, სატრანსპორტო, ტურისტული და სამოგზაურო ინვენტა-რის მწარმოებელი, სათავგადასავლო, ეკოტურისტული და საკონსულტაციო



კომპანიების, სასტუმროებისა და სანა-ტორიუმების, ტურ-ოპერატორების წარმომადგენლები. წლებანდელ გამო-ფენაში ასი ადგილობრივი და უცხოური კომპანია მონაწილეობს, მათ შორის, თურქეთიდან, ესტონეთიდან და ტაი-ლანდიდან.

გამოფენის სიახლეა საკონსულტა-ციო ფორუმი HoReCa-Expo-2017, რომ-ლის ფარგლებში დაინტერესებულ

კომპანიები საჭირო ინფორმაციის მიღებას შეძლებენ ახალი პროდუქ-ტების, პარტნიორების, პერსპექტი-ული კონტაქტების შესახებ. შესაძ-ლებელი იქნება სასტუმროებისა და რესტორნების ახალი აღჭურვილო-ბის გაცნობა.

დაცული ტერიტორიების სააგენ-ტომ გამოფენაზე უახლესი ტექნო-ლოგიებით აღჭურვილი ინტერაქ-ტიური საგამოფენო პავილიონი, აგ-რეთვე ვირტუალური რეალობის სათვალე წარადგინა, რომლის დახმარებით დამთვალიერებლები მარტივად და ბირთვისის კანიონ-ებში, დაცულ ტერიტორიებში და ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ვირ-ტუალურ რეალობაში შეძლებენ მოგზაურობას.

გამოფენის ფარგლებში შედგა შეხვედრა საქართველოს პარლამენ-ტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერა-ლურ დირექტორთან, პოეტთან, პროზა-იკოსთან და ესეისტთან გიორგი კვეკელი-ძესთან, არქიტექტორმა ნოდარ სუმბაძემ „თბილისური კატალოგი“ წარადგინა, დღეს კი მუსიკოსი ანდრო დგებუაძე წა-იკითხავს ლექციას თემაზე – „სად ტუ-რიზმი და სად ელოოსოფია?“

ნინო ალექსანდრია,
ელგუჯა ნაღარაძის ფოტო



დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2017 წლის „28 აპრილის“
№ 01-3/170 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემის აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენ-ზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვ-ნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტო-ნომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენ-ზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვ-ნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 245429200
2	მისამართი/ტელეფონი ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	<p>ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნუშნულიდან დაბლისაკენ (ზემოდან ქვემოთ);</p> <p>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით;</p> <p>გ) ობიექტის ექსპლუატაციის პერიოდში უნდა გამოირიცხოს ფუჭი ქანების ჩაყრა მდინარის კალაპოტში და ასევე ქვათაგუნის პროცესების განვითარება;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად</p>

		წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. მალაკონის მიმდებარე ტერიტორია, „ანდუზიტო-ზაზალების გამოვლინება“. (კატეგორია-პ, მოსაპოვებელი წიაღისეული მოცულობა - 125 000 მ ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მალაკონი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
8	ბიჯის სიდიდე	1 000 ლარი
	(საწყისი ფასის 10 %)	
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლემელი	8 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 02 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 02 ივნისს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 02 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 02 ივნისს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

